შპს „სქილვილ“-ის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **დავით კუპატაძე**

წევრები:

ნანა შარაბიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

მაია ხურცილავა - დარგის ექსპერტი - „ბუღალტრული აღრიცხვა“;

ზურაბ მესხიძე - დარგის ექსპერტი - „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა“,
„პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“;

ტიტე ბოლქვაძე - დარგის ექსპერტი - „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება“

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **„სქილვილ“**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: **406258730**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

ა.წ. 9-10 მარტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი შპს „სქილვილ”-ში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2026 წლის 19 თებერვლის № MES 1 26 0000191502 (ცვლილება 24.02.2026, № MES 4 26 0000210161) ბრძანების თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების („ბუღალტრული აღრიცხვა"; ‚ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა"; ,,პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი"; „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება“) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

წარმოების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტები ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა, შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულებასთან.

ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 9 და 10 მარტს, დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის განრიგის დაცვით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩატარებული იქნა ინტერვიუები პერსონალთან, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შემოწმებული იქნა კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებები, ასევე, გადამოწმდა პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. დარგის ექსპერტები ვიზიტის ფარგლებში გაესაუბრნენ პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებს და განმახორციელებლებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, შეაფასეს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, დაათვალიერეს მათი ფაქტობრივი მდგომარეობა, ფლობის დოკუმენტაცია, გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს, შეიმუშავეს რეკომენდაციები.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, ადმინისტრაციამ უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტების ეტაპობრივი წარმოდგენა და დასაზუსტებელი საკითხების განმარტება.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის - „ბუღალტრული აღრიცხვა" - ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	**ბუღალტრული აღრიცხვა**
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს სქილვილის დირექტორის ბრძანება 01.07.25 N10303 ცვლილება 02.02.2026 N1758
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი ბათუმი, პეტრე ბაგრატიონის ქ. N129
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხავა“ შემუშავებულია, შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის N2012-13 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 31/10/2025 N0020870) დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი”-ის შესაბამისად, რომელიც არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, უფლების მოპოვების, განვითარების, ცვლილების განხორციელებისა და გაუქმების მექანიზმებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას, კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 13 ოქტომბრის N23511 (ცვლილება 29/02.2026 N1432) ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განიხილა პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა” კავშირი დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან. შპს „სქილვილ”-ის მისიაა მრავალმხრივი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, რომელიც ინოვაციური მიდგომებით სთავაზობს მომხმარებლებს უმაღლესი ხარისხის სასწავლო გარემოს. კოლეჯის მიზანია, დაეხმაროს ადამიანებს დასაქმებისა და განათლების ბაზრის ბარიერების დაძლევაში. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე, სადაც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება ხელს უწყობს, ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და გამოყენებას. სქილვილის მისია დაფუძნებულია თანამედროვე საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარების პრინციპებზე, რომლებიც სრულად შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. დაწესებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ხელს უწყობს საზოგადოების ინტელექტუალურ, სოციალურ და ეკონომიკურ გაძლიერებას, რაც აისახება სწავლების ინოვაციურ და პრაქტიკაზე ორიენტირებულ მიდგომებში. „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამა შეესაბამება სქილვილის სტრატეგიულ მიზნებს. პროგრამა ხელს უწყობს საგანმანათლებლო ხარისხის გაუმჯობესებას; ქმნის საერთაშორისო პარტნიორობის შესაძლებლობებს; ამყარებს კოლეჯის რეპუტაციას თანამედროვე და მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდებაში; უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების კარიერულ განვითარებასა და დასაქმებას. „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამა სქილვილის სტრატეგიული განვითარების ბუნებრივ და ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს, რაც კოლეჯს დაეხმარება, გახდეს თანამედროვე და ინოვაციური პროფესიული განათლების ცენტრი. სქილვილის ხედვისა და ღირებულებების გათვალისწინებით, „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამა ერთერთი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებისა და მისი მიზნების განხორციელებისკენ. გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, კერძოდ, საქართველოს შრომის ბაზრის ეროვნული სტატისტიკისა და ეკონომიკური განვითარების ტენდენციების ანალიზი ადასტურებს, რომ არსებობს მზარდი მოთხოვნა იმ უნარებსა და კომპეტენციებზე, რომელთა განვითარებასაც უზრუნველყოფს ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. საქსტატის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, საქართველოს ეკონომიკაში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ მიმართულებას წარმოადგენს საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების სექტორი, სადაც 2025 წლის III კვარტალში რეალური დამატებული ღირებულების ზრდამ დაახლოებით 14.7% შეადგინა. აღნიშნული დარგის ზრდა პირდაპირ არის დაკავშირებული ფინანსური აღრიცხვის, საგადასახადო ანგარიშგებისა და ფინანსური კონტროლის ფუნქციების გაფართოებასთან, რაც ზრდის მოთხოვნას კვალიფიციურ ბუღალტრებზე და ფინანსური აღრიცხვის სპეციალისტებზე.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რომელიც სრულად შესაბამისობაშია, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან „ბუღალტრული აღრიცხვა“/Accounting, სარეგისტრაციო ნომრით 04114-პ, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესი რეგულირდება შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის N 17632 ბრძანებით (ბოლო ცვლილება - 23/12/2025, N27803) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის“ წესის პირველი თავის შესაბამისად. დოკუმენტის თანახმად, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებით, კოლეჯი აღნიშნული შეფასების გარდა შერჩევის პროცესში იყენებს აპლიკანტთან მოტივაციურ გასაუბრებას, რაც აპლიკანტს აძლევს პროგრამით დასახული შედეგების თავისუფლად მიღწევის საშუალებას.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. საგანმანათლებლო პროგრამაზე შემსვლელ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განისაზღვრება შპს „სქილვილის“ დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის N2012-13 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 10.12.2025, ბრძანება N 26969) დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსზაღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შემდეგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ფაქტორები: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა; A გარემო - თეორიული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე; B გარემო - კომპიუტერული კლასი; C გარემო - პრაქტიკისათვის განკუთვნილი სივრცე. მოდულის/პროგრამის განხორციელებისათვის შესაძლოა საჭირო იყოს ორი ან სამი ტიპის გარემო ერთად, ამ შემთხვევაში დაანგარიშებისას გათვალისწინებული უნდა იქნას თითოეული გარემოს შესაძლებლობა/ გამტარობა. დისტანციური სწავლების შესაძლებლობა; ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა; ბიბლიოთეკის რესურსის საკმარისობა; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა; ადამიანური და მატერიალური რესურსების საკმარისობა და სხვა. აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ბუღალტრული აღრიცხვა“ შემუშავებულია დოკუმენტი მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთების შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტებთან წამოადგინა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტი, აღნიშნულის გათვალისწინებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობაა 80 პროფესიული სტუდენტი დისტანციურ რეჟიმში სწავლების განხორციელებისთვის, ჯგუფში 40 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და სასწავლო რესურსებით, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაღალ ხარისხს და ეფექტიანობას. სწავლის პროცესში გამოყენებულია:

ინტერაქციული დაფები, რაც ხელს უწყობს ვიზუალური და ინტერაქტიული სწავლების მეთოდების ეფექტიან გამოყენებას; თანამედროვე კომპიუტერები და ლეპტოპები, რაც პროფესიულ სტუდენტებს საშუალებას აძლევს იმუშაონ უახლეს პროგრამულ გარემოში; მიკროფონები და აუდიო სისტემები, რომლებიც აუმჯობესებენ კომუნიკაციის ხარისხს და უზრუნველყოფენ ხმის მკაფიო გადაცემას; სწრაფი და სტაბილური ინტერნეტი, რაც ონლაინ და ჰიბრიდული სწავლების სრულფასოვნად განხორციელებას უწყობს ხელს; მრავალფეროვანი ელექტრონული სასწავლო მასალები, რაც საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია.

ექსპერტთა მიერ, შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლით და ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ დაწესებულება სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსების სრულ შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტთან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ვინაიდან დაწესებულება აღნიშნული პროგრამის განხორციელებას სრულად დისტანციურ (ონლაინ) ფორმატში გეგმავს, სასწავლო სივრცეში მოწყობილია სპეციალიზებული ინდივიდუალური სამუშაო კაბინეტები (ე.წ. „ბოქსები“) პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. აღნიშნული იზოლირებული სივრცეები აღჭურვილია ყველა საჭირო ტექნიკური საშუალებით, რაც პედაგოგებს აძლევს შესაძლებლობას, ჩაატარონ მაღალი ხარისხის ინტერაქციული ლექციები შეფერხებების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სწავლების ონლაინ ფორმატისა, დაწესებულება უზრუნველყოფს ჰიბრიდული მხარდაჭერის მექანიზმს:

პროფესიულ სტუდენტებს, სურვილის შემთხვევაში, აქვთ შესაძლებლობა, ადგილზე ისარგებლონ დაწესებულების ყველა მატერიალური და ტექნიკური რესურსით.

პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ადგილზე კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას და პერსონიფიცირებულ მიდგომას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა მორგებულია თანამედროვე ციფრულ მოთხოვნებს და სრულად პასუხობს დისტანციური სწავლების ხარისხიანად წარმართვის სტანდარტებს.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ არჩევით მოდულებს არ ითვალისწინებს.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განისაზღვრება კოლეჯის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესით“, რომლის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორი. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ დამტკიცებულია, კოლეჯის დირექტორის 02.02.2026 N1758 ბრძანებით.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „ბუღალტრული აღრიცხვა” სახელწოდებას, პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ ეფუძნება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს „ბუღალტრული აღრიცხვა“/Accounting. პროგრამა შემუშავებულია შპს „სქილვილის” „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის” და პროფესიული საგანამნათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „ბუღალტრული აღრიცხვა“ შესაბამისად.
   პროგრამის ძირითადი დოკუმენტით განისაზღვრება პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდები, შეფასების მიდგომები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, არსებობის შემთხვევაში - პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები, ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სასწავლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სხვა ინფორმაცია საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებისა და კოლეჯის სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით.
   წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით, პროგრამა შეესაბამება მის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების მისია;
2. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი;
4. სასაწავლო პროცესის მართვის წესი;
5. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;
7. საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“;
8. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელება დაგეგმილია დისტანციური სწავლების ფორმატით. კოლეჯის ბაზაზე სრულად არის უზრუნველყოფილი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ განმახორციელებელ 22 პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებულია მომსახურების ან/და წინასწარი ხელშეკრულებები, მათ შორის 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი უძღვება მხოლოდ დარგობრივ მოდულს, 2 როგორც დარგობრივს, ასევე ზოგადს, ხოლო 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი. დაწესებულებას მოდულების მიხედვით ჰყავს არანაკლებ 2 განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომლებსაც შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში პროგრამის განხორციელების პროცესში ერთმანეთის ჩანაცვლება. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. ვიზიტის ფარგლებში განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებით და მათი პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კვალიფიკაცია, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულებისათვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ბუღალტრული აღრიცხვა“ კოლეჯის „სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით“ განსზაღვრული მოთხოვნების შესაბამისად შერჩეულია პროფესიული განათლების მასწავლებლები, თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, შესაბამისად პირად საქმეში განთავსებულია დიპლომები ან/და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები - ცნობები. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მათთან გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც განახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები მოდულების განმახორციელებელ პირებთან, რის შედეგად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

დადასტურდა, რომ მათ აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, ნაწილი მათგანი კი ფლობენ სათანადო გამოცდილებას პროფესიული პროგრამების განხორციელების სფეროში.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის No17631 (ბოლო ცვლილება 05/03/2026 N 00004355) ბრძანებით განსაზღვრულია პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული მოთხოვნები, რომლის მიხედვით, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი მიმართულების უმაღლესი ან პროფესიული განათლების ან/და შესაბამის დარგში მუშაობის ან/და შესაბამისი მიმართულებით სწავლების არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილების მქონე პირი. პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის/მოდულების შემუშავება/ადაპტირების და სრულყოფის პროცესს, კოორდინაციას უწევს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანისა და განვითარების პროცესს, უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების კონსულტირებას სწავლების და შეფასების, კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში; ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას და ვერიფიკაციას (ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით) და უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას. ექსპერტთა მიერ, პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავება-განხორციელებაში, ასევე არის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები დაწესებულებაში ხელმისაწვდომია სრულად ელექტრონული სახით. საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების საკითხები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის N 2012-13 (ბოლო ცვლილება 20/09/2025, N 17643) ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი“-ს შესაბამისად. დოკუმენტის თანახმად, კოლეჯში პროფესიული სტუდენტების და პერსონალისთვის საგანმანათლებლო რესურსით მომსახურება ხორციელდება საბიბლიოთეკო სერვისების საშუალებით, რომლიც მოიცავს LMS სისტემასა და ელექტრონულ ბიბლიოთეკას. ელექტრონული პლატფორმის გამოყენების საშუალებით, ელექტრონული ბიბლიოთეკა მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების რესურსცენტრის (ბიბლიოთეკის) დათვალიერება, შერჩევითი პრინციპით მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსის შემოწმება, მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით.
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დეტალურად გაცნობოდნენ LMS სისტემას, რომელიც წარმოადგენს ინტერაქციულ პლატფორმას პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს შორის კომუნიკაციისთვის. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულყოფილ მართვას: პროფესიულ სტუდენტებს ოპერატიულად მიეწოდებათ ყველა საჭირო სასწავლო რესურსი, ასევე აქვთ უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ამასთანავე, დაწესებულება პროფესიულ სტუდენტებს სთავაზობს მოქნილ ფიზიკურ გარემოს: სურვილის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ ისარგებლონ კოლეჯის სივრცით და გამოიყენონ ადგილზე არსებული მატერიალური ბაზა სასწავლო მასალების ამოსაბეჭდად. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ბაზასთან წვდომისა და ინფორმაციის მუდმივი განახლების მიზნით, დაწესებულებას შესყიდული აქვს სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ (matsne.gov.ge) მომსახურების პაკეტი.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

6. დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი ადაპტირებული გარემოს შექმნას, რათა მათ სხვა პროფესიულ სტუდენტებთან თანაბარ პირობებში შეძლონ სრულფასოვანი განათლების მიღება, რაც ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების ინტეგრაციას საზოგადოებაში. სსსმ/შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომია, როგორც პროგრამით გათვალისწინებულ, ისე ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსები. დაწესებულებაში არსებული სწავლების მეთოდები, მასალები და ტექნოლოგიები სრულად ადაპტირებულია პროფესიულ სტუდენტთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად. დაწესებულების „სასწავლო პროცესის მართვის” დოკუმენტი არეგულირებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურებს, სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში ჩართვისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სსსმ პირების სასწავლო პროცესში ჩართვის უზრუნველყოფის მექანიზმებს. შშმ და სსსმ პირების სწავლებასა და სწავლის პროცესში ჩართულობას კოლეჯი უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, რაც გულისხმობს: შშმ და სსსმ პირთათვის კოლეჯის შენობაში შესვლას პანდუსის საშულებით, ხოლო შენობაში გადაადგილებას ლიფტის გამოყენებით; ადაპტირებული სანიტარული კვანძების არსებობას; კოლეჯის თანამშრომლების ინფორმირებას სსსმ და შშმ პირთა კონსულტაციისა და დახმარებისათვის, ასევე შეუფერხებელი გადაადგილებისათვის კოლეჯის ტერიტორიაზე; მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს შშმ და სსსმ პირის კომუნიკაციას–კონსულტაციას კოლეჯის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან; მატერიალური რესურსებით (მათ შორის კომპიუტერითა და ინტერნეტით) შეუზღუდავ სარგებლობას სამუშაო დღის საათებში, კოლეჯის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ ვაუჩერული დაფინანსების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას. პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს, ყველა აუცილებელ ხარჯს, მათ შორის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, პროფესიული განათლების მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგებს, სახელმძღვანელოებისა და სასწავლო აპლიკაციების შეძენას, პროფესიულ სტუდენტთა აქტივობებსა და პროფესიულ ღონისძიებებში მონაწილეობას. გარდა ამისა, გათვალისწინებულია ცნობადობის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ღონისძიების ჩატარების ხარჯები. საპროგნოზო ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას, რომლის რენტაბელობის ზღვარი 20 პროფესიული სტუდენტია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
4. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
5. პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმე;
6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
7. სასწავლო პროცესის მართვა;
8. ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი;
9. ელექტრონული ბიბლიოთეკა;
10. ვებ გვერდი;
11. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
12. გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების პროფესიული პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმი, რომელიც „ხარისხის მართვის პოლიტიკის“ ძირითად პროცესს წარმოადგენს და მოიცავს შესაბამისობის შეფასებას მოქმედ მარეგულირებელ აქტებთან და პროცესის ეფექტიანობის შეფასებას. პროგრამების შეფასებისათვის ხარისხის მართვის გუნდს შექმნილი აქვს კითხვარები დაინტერესებული მხარეებისათვის. გამოკითხვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის შესაბამისად კი, კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე, რიგი საკითხების გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისი კომპეტენციის მქონე პერსონალი შეიმუშავებს და განახორციელებს აქტივობებს.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. კოლეჯის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის" შესაბამისად, პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება შემდეგ შემთხვევებში: კოლეჯის ინიციატივით; პროგრამის შემუშავების საფუძვლად არსებული პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში ან პროგრამის შემუშავების მარეგულირებელ სხვა საკანონმდებლო აქტებში ან და სხვა ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში (მათ შორის, სამუშაოზე დაფუძნებული მიდგომით სწავლება და სხვა) მათთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით. კოლეჯის ინიციატივით, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება ემსახურება პროგრამის განვითარებას. ამ მიზნით, კოლეჯის წარმომადგენელთა ინიციატივა ეყრდნობა შემდეგ გარემოებებს: ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გამოყენების შედეგები, ხარისხის მართვის გუნდის დასკვნები და რეკომენდაციები; ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების შედეგები, გარე შემფასებლების/ექსპერტების დასკვნები და რეკომენდაციები; პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები; პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების/დამსაქმებლების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგები (არსებობის შემთხვევაში); პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ცვლილება ან ახალი ტექნოლოგიების/მიდგომების დანერგვა; სხვა ნებისმიერი გარემოება, რაც მიზნად ისახავს პროგრამის განვითარებას. კოლეჯის ინიციატივით დასაშვებია პროგრამაში შემდეგი სახის ცვლილებების განხორციელება: პროგრამის სახელწოდების ცვლილება; პროგრამის სტრუქტურის შეცვლა, რაც გამოწვეულია არჩევითი მოდულების დამატებით ან ამოღებით; მისაღწევი სწავლის შედეგების შეცვლა, რაც გამოწვეულია არჩევითი მოდულების დამატებით ან ამოღებით; მოდულების მესამე ნაწილში (დამხმარე ჩანაწერები) ნებისმიერი ხასიათის ცვლილება, მათ შორის: თემატიკის გამრავალფეროვნება, სასწავლო მეთოდების შეცვლა, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლა, საათების გადანაწილება, სასწავლო რესურსის შეცვლა და სხვა; პროგრამის განხორციელების ადგილის ცვლილება; სასწავლო გეგმის ცვლილება; ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, რომელიც მიზნად ისახავს დოკუმენტის ტექნიკურ ან რედაქციულ გამართვას ან ჩანაწერების შესაბამისობაში მოყვანას მოქმედ კანონმდებლობასთან; პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილება და სხვ. ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც აუცილებლად უნდა აისახოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში, დასაბუთება და შესაბამისი მტკიცებულება სასწავლო პროცესის მართვის გუნდის ინიციატივით დირექტორის მიერ ეგზავნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ასევე, შპს „სქილვილ"-ის „ხარისხის მართვის პოლიტიკა" მიხედვით, ხარისხის მართვა კომპლექსური პროცესია და მისი მიზანია კოლეჯის, როგორც ერთიანი ორგანიზმის ჰარმონიული და მდგრადი განვითარება. ხარისხის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და კოლეჯში მიმდინარე პროცესები ორ ძირითად ნაწილად იყოფა: ძირითადი და დამხმარე პროცესები. ერთ-ერთი ძირითადი პროცესია, სასწავლო პროცესის მართვა და მისი შემადგენელი ქვეპროცესებია: პროგრამის შეფასების შედეგების გათვალისწინებით ცვლილებების ინიცირება პროგრამაში; პროგრამის შეფასების შედეგების გათვალისწინებით ცვლილებების ინიცირება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში; პროგრამის შეფასების შედეგების გათვალისწინებით პროგრამის გაუქმება.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ხარისხის მართვის პოლიტიკა;
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი;
4. ინტერვიუ დაწესებულების
   წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ სასწავლო გეგმა შედგენილია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით. სწავლება განხორციელდება შესაბამისი სასწავლო გეგმით, რომელშიც გაწერილია მოდულების თანმიმდევრობა კვირების მიხედვით და ყოველ კვირაში შესასრულებელი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე განმეორებითი და შუალედური შეფასებისთვის გონივრული დროის შუალედი. მეცადინეობის განრიგები შემუშავდება სასწავლო გეგმების შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იქნება და განთავსდება თვალსაჩინო ადგილას.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო პროცესს, რაც გულისხმობს მათ ინტერესებზე ორიენტირებულ მიდგომას და სწრაფი ადაპტაციის შესაძლებლობას მიმდინარე მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულების წარმოამადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯში მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს უკუკავშირის მუდმივ შეგროვებას და ანალიზს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. ასევე, გამოყოფილია კარიერული ზრუნვის მენეჯერი, რომელიც აქტიურად მუშაობს პროფესიული სტუდენტების პროფესიული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობაზე. სწავლებასა და სწავლის პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი და მოქნილი მეთოდები, რომლებიც ემყარება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სწავლების ეფექტურობის გაზრდას. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტისთვის შეიქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც მის ინტერესებსა და აკადემიური მომზადების დონეს შეესაბამება. პროფესიულ სტუდენტთა უფლებები დაცულია შპს „სქილვილის“ შესაბამისი შინაგანაწესისა და სხვა დებულებების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათთვის თანასწორ, უსაფრთხო და ხარისხიან საგანმანათლებლო გარემოს. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ობიექტურ შეფასებას. ექსპერტებთან გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება იმოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად გაითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინტერესებს.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. დაწესებულებაში სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლების თანამედროვე მიდგომებსა და ინოვაციურ მეთოდებს დარგის მიმართულებით, რომელიც მაქსიმალურადაა მორგებული თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. კოლეჯში არსებობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხროციელებისათვის საჭირო შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი გარემო, შესაბამისი დარგის ლიტერატურა და კომპიუტერული ტექნიკა, რომელთა გამოყენებაც ინდივიდუალურად შეუძლიათ პროფესიულ სტუდენტებს მათი საჭიროებებიდან გამომდინარე. სასწავლო სივრცეები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, რაც დადასტურებულია მატერიალური რესურსების ბაზით, რომელიც ფუნქციონალური შესაძლებლობებით აღემატება დაწესებულ მინიმალურ სტანდარტს. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ წვდომა ინტერაქტიულ სასწავლო პლატფორმებზე და ინდუსტრიის წამყვან ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებზე, რაც მათ უმარტივებს უნარების დაუფლებას და რეალურ სამუშაო გარემოსთან ადაპტირებას. ინტერვიუირებისას აღინიშნა, რომ მეცადინეობები ჩატარდება დისტანციურად, Zoom-ის და სხვა თანამედროვე პლატფორმების გამოყენებით, ხოლო სასწავლო მასალები და დავალებები ხელმისაწვდომია Learning Management System (LMS) პლატფორმაზე, რაც უზრუნველყოფს ეფექტურ კომუნიკაციას და სწავლების უწყვეტობას. ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესის წარმართვა დაგეგმილია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. შპს „სქილვილი“ სრულად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ინკლუზიურ და ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს. დაწესებულების „სასწავლო პროცესის მართვის“ წესი ითვალისწინებს, ინდივიუალური სასწავლო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

შედგენის მექანიზმს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება შესაძლოა განისაზღვროს მაშინ, როდესაც: გარე მობილობით (სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსული პროფესიული სტუდენტი) ან შიდა მობილობით (კოლეჯის მიერ განხორციელებული ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასული პროფესიული სტუდენტი) სარგებლობის შედეგად პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხება კოლეჯში და მიენიჭება პროფესიულ სტუდენტის სტატუსი, თუმცა, მისი სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები კოლეჯის (მიმღები პროგრამის) სწავლის შედეგებისგან; საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას; კოლეჯის პროფესიული სტუდენტი, რომელსაც მიენიჭა სსსმ ან შშმ პირის სტატუსი და ვერ აღწევს სწავლის შედეგებს. სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით, საჭიროებს მასზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას; პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში ან პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად; ფორმალური ან არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული განათლების აღიარების შემთხვევაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებს/ უფლებებს და სთავაზობს მათ შესაბამის სერვისებს. დოკუმენტის შესწავლით და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე, ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელდება იმიტირებულ გარემოში, დისტანციურად და შესაბამისად არ ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტთან თანამშრომლობას.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ არ ითვალისწინებს განსაკუთრებული სპეციფიური უსაფრთხოების წესების დაცვას.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასაწავლო პროცესის მართვის წესი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
3. პროგრამის სასწავლო გეგმა;
4. გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „სქილვლის“ სასწავლო პროცესის მართვის დოკუმენტი მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესს, რომლის მიხედვითაც პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. დოკუმენტში ასევე, გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების ძირითადი მოთხოვნები. ინტერვიურების დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისას ითვალისწინებს კონკრეტული მოდულის მოთხოვნებს და შეფასების განხორციელებამდე 10 დღით ადრე შეფასების ინსტრუმენტს ვალიდაციისთვის წარუდგენს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, იგი შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ერთად განიხილავს მის ვალიდურობას, როგროც შინაარსობრივი ასევე, ტექნიკური თვალსაზრისით. სასწავლო პროცესის მენეჯერი წარმოადგენს შიდა შემმოწმებელს (ვალიდატორს) და სწავლის შედეგების დადასტურებამდე მოდულის განმახორციელებელ შესაბამის პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტს, თუ რამდენად თავსებადია მოდულით განსაზღვრულ შემდეგ მიმართულებასთან:
   - არის თუ არა პროფესიული სტუდენტისათვის გასაგებად აღწერილი დავალება;
   - არის თუ არა შეფასებისათვის განსაზღვრული დრო საკმარისი;
   - არის თუ არა შეფასების ინსტრუმენტი ვალიდური, სანდო, მარტივი, მოქნილი და მიუკერძოებელი.

   შეფასების წესი, ასევე არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა განმეორებითი შეფასების და სწავლის შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს. დიკუმენტის თანახმად: განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ და მოდულის დასრულებიდან მაქსიმუმ 10 სამუშაო დღის ვადაში (არ იგულისხმება წინმსწრები მოდულის დასრულება) მოდულის განმახორციელებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს. შეფასების შედეგები პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის მიერ, შეფასებიდან არაუგვიანეს მესამე სამუშაო დღეს იმგვარად, რომ დაცული იქნას კონფიდენციალურობა და პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემები. სწავლის შედეგების გასაჩივრების მექანიზმის თანახმად, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მისთვის არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების უფლებით. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასებასთან დაკავშირებული საკითხებიდან გაასაჩივროს ორი კომპონენტი: შეფასების ობიექტურობა და მიღებული შედეგი; შეფასების პროცედურა. შეფასების გასაჩივრება შესაძლებელია წერილობითი ფორმით, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ პროფესიული სტუდენტისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

შეფასების გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში. საჩივრის განხილვის შედეგი კი, პროფესიული სტუდენტისთვის ცნობილი გახდება საჩივრის წარდგენიდან 5 დღის ვადაში.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ დოკუმენტი არეგულირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაციის მიზანია, კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფა და მისი შესაბამისობა შეფასების ძირითად პრინციპებთან. ვერიფიკაციის მექანიზმი უზრუნველყოფს რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის: ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციას განახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც იქმნება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით. ჯგუფში შეიძლება შედიოდეს: ხარისხის მართვის გუნდის წევრი, რომელიც ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი (ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის დაცვით); პროფესიული განათლების მასწავლებელი (ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის დაცვით), სხვა მოწვეული პირი (დარგის სპეციალისტი, განათლების სპეციალისტი და სხვა). ვერიფიკაციის ჯგუფმა განსაზღვრულ ვადაში უნდა შეისწავლოს წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები/მტკიცებულებები/შეფასების პროცესის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები; საჭიროების შემთხვევაში შეხვდეს შეფასების ინსტრუმენტების შემმუშავებელს, სასწავლო პროცესის მენეჯერს და სხვა ჩართულ მხარეებს; განიხილონ გადასაწყვეტი საკითხები; შეთანხმდნენ შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების საბოლოო კომენტარებზე; ვერიფიკაციის ჯგუფის ყველა წევს აქვს პროცესში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნაში, დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ანგარიში აუცილებლად უნდა მოიცავდეს როგორს პროცესის აღწერას, შედეგებს და შეფასებებს, ასევე პროცესის გაუმჯობესების რეკომენდაციებს, სამოქმედო გეგმის პროექტს (საჭიროების შემთხვევაში). ანგარიშს ხელს აწერს პროცესზე პასუხისმგებელი და ვერიფიკაციის ჯგუფის წევრები.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. დაწესებულების „საასწავლო პროცესის მართვის” წესის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება მატერიალური/ ელექტრონული სახით - მტკიცებულებებით. პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის ხელმძღვანელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს მიღება-ჩაბარების აქტით გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს სათანადო აღრიცხვის მიზნით. პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები ფორმდება უწყისით. კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

4. დაწესებულების „სასწავლო პროცესის მართვის” წესის მიხედვით, კოლეჯი განახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას, კერძოდ წავლის შედეგის დადასტურების ან ვერ დადასტურების მაჩვენებლების აღრიცხვას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ინტერვიურების დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში პროფესიული განათლების მასწავლებელი ინდივიდუალურად აცნობებს შესაფასებელ პროფესიულ სტუდენტს მიღებული შეფასების შესახებ სპეციალური საკომუნიკაციო არხების საშუალებით; იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოდული არის სხვა მოდულის წინაპირობა, შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ორ დღეში; თუ მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, შეფასების შედეგი პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ხუთდღიან ვადაში. ამ პროცესის მიზანია შეფასების გამჭვირვალობა, დროული უკუკავშირის უზრუნველყოფა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტი განვითარება. ექსპერტთა შეფასებით პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასაწავლო პროცესის მართვის წესი;
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. საქმისწარმოების წესი;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
5. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის - „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ - ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზხი არ გამოვლენილა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის (26.03.2026, #5617) პირველ პუნქტში მითითებულ ინფორმაციას - „პროგრამების დამატება - ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა - 2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით (გვ.30) - „განთავსებულია შესაბამისი მეხსიერების 20 კომპიუტერი" - აუდიტორიაში განთავსებულია შესაბმისი მეხსიერების 40 კომპიუტერი, გამომდინარ იქიდან, რომ კოლეჯი გეგმავს ერთ ჯგუფში 40 სტუდენტის მიღებას“, აღნიშნული საკითხი არის ტექნიკური ხარვეზი და ჩასწორდა დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	**ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა**
პროფესიული განათლების დონე	მესამე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს სქილვილის დირექტორის ბრძანება 03.02.2026 N1782
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი ბათუმი, პეტრე ბაგრატიონის ქ. N129
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ შემუშავებულია, შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 20/12/2024 N2012-13 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 31/10/2025 N0020870) დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი”-ის შესაბამისად, რომელიც არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, უფლების მოპოვების, განვითარების, ცვლილების განხორციელებისა და გაუქმების მექანიზმებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას, კოლეჯის დირექტორის 13/11/2025 N23511 (ცვლილება 29/01/2026 N1432) ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განიხილა პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა” კავშირი დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან. შპს „სქილვილ”-ის მისიაა მრავალმხრივი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, რომელიც ინოვაციური მიდგომებით სთავაზობს მომხმარებლებს უმაღლესი ხარისხის სასწავლო გარემოს. კოლეჯის მიზანია, დაეხმაროს ადამიანებს დასაქმებისა და განათლების ბაზრის ბარიერების დაძლევაში. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე, სადაც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება ხელს უწყობს, ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და გამოყენებას. სქილვილის მისია დაფუძნებულია თანამედროვე საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარების პრინციპებზე, რომლებიც სრულად შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. ორგანიზაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ხელს უწყობს საზოგადოების ინტელექტუალურ, სოციალურ და ეკონომიკურ გაძლიერებას, რაც აისახება სწავლების ინოვაციურ და პრაქტიკაზე ორიენტირებულ მიდგომებში. „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროგრამა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელიც პასუხობს ციფრული ეკონომიკის მზარდ მოთხოვნებს. აღნიშნული პროგრამა საშუალებას მისცემს პროფესიულ სტუდენტებს, სწრაფად შეიძინონ და განივითაროონ ტექნიკური და პრაქტიკული უნარები, რაც უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე. „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროგრამა შეესაბამება დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებს, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტების კარიერულ განვითარებასა და დასაქმებას. „ინფორმაციული ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროგრამა სქილვილის სტრატეგიული განვითარების ბუნებრივ და ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს, რაც კოლეჯს დაეხმარება, გახდეს თანამედროვე და ინოვაციური პროფესიული განათლების ცენტრი. სქილვილის ხედვისა და ღირებულებების გათვალისწინებით, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროგრამა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებისა და მისი მიზნების განხორციელებისკენ. დაწესებულებამ წარმოადგინა გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ, რომლის მიხედვითაც, საქართველოში ICT მიმართულებით ჩატარებულმა შრომის ბაზრის ანალიზმა აჩვენა, რომ ქვეყანაში არ არის საკმარისი ადამიანური რესურსი, რომელიც დააკმაყოფილებს ეროვნული და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს. მსოფლიო ბანკის ექსპერტების კვლევის მიხედვით, საქართველო, მოკლებულია რეგულარულად განახლებულ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რაც აუცილებელია ICT განვითარების სწრაფი ტემპის გათვალისწინებით. ასევე, კვალიფიციურ IT სპეციალისტებზე მაღალი გლობალური მოთხოვნის გამო, ადგილობრივი პროფესიონალები ხშირად ირჩევენ მაღალანაზღაურებად დასაქმებას საერთაშორისო ბაზარზე, რაც იწვევს ადგილობრივ სამუშაო ბაზარზე კვალიფიციური მუშახელის დეფიციტს (ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია). ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით აღსანიშნავია, რომ IT მხარდაჭერის მიმართულებით პოზიციები საქართველოში აქტიურად ფიქსირდება ონლაინ ვაკანსიების პორტალებზე (მაგალითად: „IT მხარდაჭერისა და მონაცემთა ბაზის ასისტენტი“, „პროგრამული მხარდაჭერის უმცროსი სპეციალისტი“, „ტექნიკური მხარდაჭერის ინჟინერი“, „ტექნიკური მხარდამჭერი“ და სხვა მსგავსი როლები), რაც მოთხოვნის სტაბილურობაზე მიუთითებს.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება, რომელიც სრულად შესაბამისობაშია, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა/Information Technology Support, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესი რეგულირდება „შპს „სქილვილ“-ის სასწავლო პროცესის მართვის დამტკიცების თაობაზე” შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის ბრძანებით N 17632 (ცვლილება - 23/12/2025, N27803) დამტკიცებული წესის პირველი თავის შესაბამისად. კოლეჯის მიერ შეფასება საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, ხორციელდება აპლიკანტთან მოტივაციური გასაუბრებით.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

3. შპს „სქილვილის“ დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის N 2012-13 (ცვლილება 10.12.2025 ბრძანება N 26969) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსზაღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა; A გარემო-თეორიული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე; B გარემო - კომპიუტერული კლასი; C გარემო - პრაქტიკისათვის განკუთვნილი სივრცე; მოდულის/პროგრამის განხორციელებისათვის შესაძლოა საჭირო იყოს ორი ან სამი ტიპის გარემო ერთად, ამ შემთხვევაში დაანგარიშებისას გათვალისწინებული უნდა იქნას თითოეული გარემოს შესაძლებლობა/გამტარობა. დისტანციური სწავლების შესაძლებლობა; ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა; ბიბლიოთეკის რესურსის საკმარისობა; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა; ადამიანური და მატერიალური რესურსების საკმარისობა და სხვა. აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ შემუშავებულია დოკუმენტი მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთების შესახებ. პროგრამისთვის გათვალისწინებული გარემოებების მიხედვით, პროგრამაზე მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის 80 პროფესიული სტუდენტი, ჯგუფში 40 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და სასწავლო რესურსებით, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაღალ ხარისხს და ეფექტიანობას. სწავლის პროცესში გამოყენებულია: ინტერაქციული დაფები, რაც ხელს უწყობს ვიზუალური და ინტერაქტიული სწავლების მეთოდების ეფექტიან გამოყენებას; თანამედროვე კომპიუტერები და ლეპტოპები, რაც პროფესიულ სტუდენტებს საშუალებას აძლევს იმუშაონ უახლეს პროგრამულ გარემოში; მიკროფონები და აუდიო სისტემები, რომლებიც აუმჯობესებენ კომუნიკაციის ხარისხს და უზრუნველყოფენ ხმის მკაფიო გადაცემას; სწრაფი და სტაბილური ინტერნეტი, რაც ონლაინ და ჰიბრიდული სწავლების სრულფასოვნად განხორციელებას უწყობს ხელს; მრავალფეროვანი ელექტრონული სასწავლო მასალები, რაც საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია.
ექსპერტთა მიერ, შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლით და ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ დაწესებულება სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსების სრულ შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტთან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ არჩევით მოდულებს არ ითვალისწინებს.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განისაზღვრება კოლეკის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესით“, რომლის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

პირია კოლეჯის დირექტორი. შესაბამისად, როფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა “ დამტკიცებულია, კოლეჯის დირექტორის (03.02.2026 N1782) ბრძანებით.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა” სახელწოდებას, პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ ეფუძნება, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა/Information Technology Support სარეგისტრაციო ნომერით - 06.3.1. პროგრამა შემუშავებულია დაწესებულების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის“ და პროფესიული საგანამნათლებლო სტანდარტი „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ შესაბამისად. პროგრამის ძირითადი დოკუმენტით განისაზღვრება პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდები, შეფასების მიდგომები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, არსებობის შემთხვევაში - პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები, ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სასწავლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სხვა ინფორმაცია საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებისა და კოლეჯის სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების მისია;
2. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი;
4. სასაწავლო პროცესის მართვის წესი;
5. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა” მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;
7. საგანმანათლებლო პროგრამა ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა”;
8. გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური-ტექნიკური აღჭურვილობით/რესურსით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია.მეორე სართულზე გამოყოფილია შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი აუდიტორიები A/B და B სასწავლო გარემოსთვის, აუდიტორიებში განთავსებულია პროფესიული სტუდენტებისთვის და პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილები (მაგიდა და სკამი, კომპიუტერი), რომელიც განკუთვნილია პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ ერთ მიღებაზე 80 (ორ ჯგუფად, თითო ჯგუფში 40) პროფესიული სტუდენტზე. A/B სასწავლო გარემოში განთავსებულია: მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული განათლების მასწავლებლის 1ც; მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; კარადა რესურსებისთვის, ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები, განთავსებულია შესაბამისი მეხსიერების 40 კომპიუტერი. ასევე ყველა საჭირო მატერიალური ნივთი - ქსელის მოწყობილობები, პაჩკორდები, IP ტელეფონები, ანტისტატიკური ნივთები, სახრახნები და ყველა სახის სტანდარტით გათვალისწინებული მოწყობილობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები 18 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მათ შორის 5 პროფესიული განათლების მასწავლებელი არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, ხოლო 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს დარგობრივ მოდულებს. დაწესებულებას მოდულების მიხედვით ჰყავს 2 განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომლებსაც შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში პროგრამის განხორციელების პროცესში ერთმანეთის ჩანაცვლება. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. ვიზიტის ფარგლებში განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებით და მათი პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კვალიფიკაცია, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულებისათვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ კოლეჯის „სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით“ განსზაღვრული მოთხოვნების შესაბამისად შერჩეულია პროფესიული განათლების მასწავლებლები, თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, შესაბამისად პირად საქმეში განთავსებულია დიპლომები ან/და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები - ცნობები. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები მოდულების განმახორციელებელ პირებთან, რის შედეგად დადასტურდა, რომ მათ აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, ნაწილი მათგანი კი ფლობენ სათანადო გამოცდილებას პროფესიული პროგრამების განხორციელების სფეროში.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის No17631 (ბოლო ცვლილება 05/03/2026 N 00004355) ბრძანებით განსაზღვრულია პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული მოთხოვნები, რომლის მიხედვით, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი მიმართულების უმაღლესი ან პროფესიული განათლების ან/და შესაბამის დარგში მუშაობის ან/და შესაბამისი მიმართულებით სწავლების არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილების მქონე პირი. პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის/მოდულების შემუშავება/ადაპტირების და სრულყოფის პროცესს, კოორდინაციას უწევს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

განვითარების პროცესს, უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების კონსულტირებას სწავლების და შეფასების, კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში; ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას და ვერიფიკაციას (ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით) და უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას. ექსპერტთა მიერ, პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავება-განხორციელებაში, ასევე არის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები დაწესებულებაში ხელმისაწვდომია სრულად ელექტრონული სახით. საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების საკითხები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის N 2012-13 (ბოლო ცვლილება 20/09/2025, N 17643) ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი“-ს შესაბამისად. დოკუმენტის თანახმად, კოლეჯში პროფესიული სტუდენტების და პერსონალისთვის საგანმანათლებლო რესურსით მომსახურება ხორციელდება საბიბლიოთეკო სერვისების საშუალებით, რომლიც მოიცავს რესურსცენტრს, LMS სისტემასა და ელექტრონულ ბიბლიოთეკას. ელექტრონული ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია სქილვილის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად, ელექტრონული პლატფორმის გამოყენების საშუალებით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების რესურსცენტრის (ბიბლიოთეკის) დათვალიერება, შერჩევითი პრინციპით მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსის შემოწმება, მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

6. დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი ადაპტირებული გარემოს შექმნას, რათა მათ სხვა პროფესიულ სტუდენტებთან თანაბარ პირობებში შეძლონ სრულფასოვანი განათლების მიღება, რაც ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების ინტეგრაციას საზოგადოებაში. სსსმ/შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომია, როგორც პროგრამით გათვალისწინებულ, ისე ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსები. დაწესებულებაში არსებული სწავლების მეთოდები, მასალები და ტექნოლოგიები სრულად ადაპტირებულია პროფესიულ სტუდენტთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად. დაწესებულების „სასწავლო პროცესის მართვის” დიკუმენტი არეგულირებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურებს, სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში ჩართვისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სსსმ პირების სასწავლო პროცესში ჩართვის უზრუნველყოფის მექანიზმებს. შშმ და სსსმ პირების სწავლებასა და სწავლის პროცესში ჩართულობას კოლეჯი უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, რაც გულისხმობს: შშმ და სსსმ პირთათვის კოლეჯის შენობაში შესვლას პანდუსის საშულებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ხოლო შენობაში გადაადგილებას ლიფტის გამოყენებით; ადაპტირებული სანიტარული კვანძების არსებობას; კოლეჯის თანამშრომლების ინფორმირებას სსსმ და შშმ პირთა კონსულტაციისა და დახმარებისათვის, ასევე შეუფერხებელი გადაადგილებისათვის კოლეჯის ტერიტორიაზე; მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს შშმ და სსსმ პირის კომუნიკაციას – კონსულტაციას კოლეჯის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან; მატერიალური რესურსებით (მათ შორის კომპიუტერითა და ინტერნეტით) შეუზღუდავ სასრგებლობას სამუშაო დღის საათებში, კოლეჯის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ ვაუჩერული დაფინანსების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას. პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს, ყველა აუცილებელ ხარჯს, მათ შორის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, პროფესიული განათლების მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგებს, სახელმძღვანელოებისა და სასწავლო აპლიკაციების შეძენას, პროფესიულ სტუდენტთა აქტივობებსა და პროფესიულ ღონისძიებებში მონაწილეობას. გარდა ამისა, გათვალისწინებულია ცნობადობის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ღონისძიების ჩატარების ხარჯები. საპროგნოზო ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას, რომლის რენტაბელობის ზღვარი 20 პროფესიული სტუდენტია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
4. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
5. პროფესიულ განათლების მასწავლებელთა პირადი საქმე;
6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი (სასწავლო პროცესის მართვა, მუხლი 18);
7. სასწავლო პროცესის მართვა;
8. ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი;
9. ელექტრონული ბიბლიოთეკა;
10. ვებ გვერდი;
11. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
12. გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების პროფესიული პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმი, რომელიც „ხარისხის მართვის პოლიტიკის“ ძირითად პროცესს წარმოადგენს და მოიცავს შესაბამისობის შეფასებას მოქმედ მარეგულირებელ აქტებთან და პროცესის ეფექტიანობის შეფასებას. პროგრამების შეფასებისათვის ხარისხის მართვის გუნდს შექმნილი აქვს კითხვარები დაინტერესებული მხარეებისათვის. გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის შესაბამისად კი, კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე, რიგი საკითხების გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისი კომპეტენციის მქონე პერსონალი შეიმუშავებს და განახორციელებს აქტივობებს.
ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. კოლეჯის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის” შესაბამისად, პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება შემდეგ შემთხვევებში: კოლეჯის ინიციატივით; პროგრამის შემუშავების საფუძვლად არსებული პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში ან პროგრამის შემუშავების მარეგულირებელ სხვა საკანონმდებლო აქტებში ან და სხვა ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში (მათ შორის, სამუშაოზე დაფუძნებული მიდგომით სწავლება და სხვა) მათთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით. კოლეჯის ინიციატივით, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება ემსახურება პროგრამის განვითარებას. ამ მიზნით, კოლეჯის წარმომადგენელთა ინიციატივა ეყრდნობა შემდეგ გარემოებებს: ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გამოყენების შედეგები, ხარისხის მართვის გუნდის დასკვნები და რეკომენდაციები; ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების შედეგები, გარე შემფასებლების/ექსპერტების დასკვნები და რეკომენდაციები; პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები; პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების/ დამსაქმებლების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგები (არსებობის შემთხვევაში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ცვლილება ან ახალი ტექნოლოგიების/მიდგომების დანერგვა; სხვა ნებისმიერი გარემოება, რაც მიზნად ისახავს პროგრამის განვითარებას. კოლეჯის ინიციატივით დასაშვებია პროგრამაში შემდეგი სახის ცვლილებების განხორციელება: პროგრამის სახელწოდების ცვლილება; პროგრამის სტრუქტურის შეცვლა, რაც გამოწვეულია არჩევითი მოდულების დამატებით ან ამოღებით; მისაღწევი სწავლის შედეგების შეცვლა, რაც გამოწვეულია არჩევითი მოდულების დამატებით ან ამოღებით; მოდულების მესამე ნაწილში (დამხმარე ჩანაწერები) ნებისმიერი ხასიათის ცვლილება, მათ შორის: თემატიკის გამრავალფეროვნება, სასწავლო მეთოდების შეცვლა, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლა, საათების გადანაწილება, სასწავლო რესურსის შეცვლა და სხვა; პროგრამის განხორციელების ადგილის ცვლილება; სასწავლო გეგმის ცვლილება; ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, რომელიც მიზნად ისახავს დოკუმენტის ტექნიკურ ან რედაქციულ გამართვას ან ჩანაწერების შესაბამისობაში მოყვანას მოქმედ კანონმდებლობასთან; პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილება და სხვ. ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც აუცილებლად უნდა აისახოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში, დასაბუთება და შესაბამისი მტკიცებულება სასწავლო პროცესის მართვის გუნდის ინიციატივით დირექტორის მიერ ეგზავნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ასევე, დაწესებულების „ხარისხის მართვის პოლიტიკა" მიხედვით, ხარისხის მართვა კომპლექსური პროცესია და მისი მიზანია კოლეჯის, როგორც ერთიანი ორგანიზმის ჰარმონიული და მდგრადი განვითარება. ხარისხის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და კოლეჯში მიმდინარე პროცესები ორ ძირითად ნაწილად იყოფა: ძირითადი და დამხმარე პროცესები. ერთ-ერთი ძირითადი პროცესია, სასწავლო პროცესის მართვა და მისი შემადგენელი ქვეპროცესებია: პროგრამის შეფასების შედეგების გათვალისწინებით ცვლილებების ინიცირება პროგრამაში; პროგრამის შეფასების შედეგების გათვალისწინებით ცვლილებების ინიცირება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში; პროგრამის შეფასების შედეგების გათვალისწინებით პროგრამის გაუქმება.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ხარისხის მართვის პოლიტიკა;
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი;
4. ინტერვიუ დაწესებულების
   წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ სასწავლო გეგმა შედგენილია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით. სწავლება განხორციელდება შესაბამისი სასწავლო გეგმით, რომელშიც გაწერილია მოდულების თანმიმდევრობა კვირების მიხედვით და ყოველ კვირაში შესასრულებელი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე განმეორებითი და შუალედური შეფასებისთვის გონივრული დროის შუალედი. მეცადინეობის განრიგები შემუშავდება სასწავლო გეგმების შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იქნება და განთავსდება თვალსაჩინო ადგილას.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. შპს „სქილვილ“ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო პროცესს, რაც გულისხმობს მათ ინტერესებზე ორიენტირებულ მიდგომას და სწრაფი ადაპტაციის შესაძლებლობას მიმდინარე მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულების წარმოამადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ დაწესებულებაში მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს უკუკავშირის მუდმივ შეგროვებას და ანალიზს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. ასევე, გამოყოფილია კარიერული ზრუნვის მენეჯერი, რომელიც აქტიურად იმუშავებს პროფესიულ სტუდენტების პროფესიული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობაზე. სწავლებასა და სწავლის პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი და მოქნილი მეთოდები, რომლებიც ემყარება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სწავლების ეფექტურობის გაზრდას. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტისთვის შეიქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც მის ინტერესებსა და აკადემიური მომზადების დონეს შეესაბამება. პროფესიულ სტუდენტთა უფლებები დაცულია შპს „სქილვილის“ შესაბამისი შინაგანაწესისა და სხვა დებულებების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათთვის თანასწორ, უსაფრთხო და ხარისხიან საგანმანათლებლო გარემოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ობიექტურ შეფასებას. ექსპერტებთან გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება იმოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად გაითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინტერესებს.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. დაწესებულებაში სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლების თანამედროვე მიდგომებსა და ინოვაციურ მეთოდებს დარგის მიმართულებით, რომელიც მაქსიმალურადაა მორგებული თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. კოლეჯში არსებობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხროციელებისათვის საჭირო შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი გარემო, შესაბამისი დარგის ლიტერატურა და კომპიუტერული ტექნიკა, რომელთა გამოყენებაც ინდივიდუალურად შეუძლიათ პროფესიულ სტუდენტებს მათი საჭიროებებიდან გამომდინარე. სასწავლო სივრცეები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, რაც დადასტურებულია მატერიალური რესურსების ბაზით, რომელიც ფუნქციონალური შესაძლებლობებით აღემატება დაწესებულ მინიმალურ სტანდარტს. პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ წვდომა ინტერაქტიულ სასწავლო პლატფორმებზე და ინდუსტრიის წამყვან ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებზე, რაც მათ უმარტივებს უნარების დაუფლებას და რეალურ სამუშაო გარემოსთან ადაპტირებას.
ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესის წარმართვა დაგეგმილია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. კოლეჯი სრულად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ინკლუზიურ და ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს. დაწესებულების „სასწავლო პროცესის მართვის“ წესი ითვალისწინებს, ინდივიუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება შესაძლოა განისაზღვროს მაშინ, როდესაც: გარე მობილობით (სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსული პროფესიული სტუდენტი) ან შიდა მობილობით (კოლეჯის მიერ განხორციელებული ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასული პროფესიულ სტუდენტი) სარგებლობის შედეგად პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხება კოლეჯში და მიენიჭება პროფესიულ სტუდენტის სტატუსი, თუმცა, მისი სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები კოლეჯის (მიმღები პროგრამის) სწავლის შედეგებისგან; საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას; კოლეჯის პროფესიული სტუდენტი, რომელსაც მიენიჭა სსსმ ან შშმ პირის სტატუსი და ვერ აღწევს სწავლის შედეგებს. სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით, საჭიროებს მასზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას; პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში ან პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად; ფორმალური ან არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული განათლების აღიარების შემთხვევაში. აღნიშნულიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

გამომდინარე, დაწესებულება ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებს/ უფლებებს და სთავაზობს მათ შესაბამის სერვისებს. დოკუმენტის შესწავლით და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე, ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ გარემოში და არ ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტთან თანამშრომლობას.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს განსაკუთრებული სპეციფიური უსაფრთხოების წესების დაცვას.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):
1. სასაწავლო პროცესის მართვის წესი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
3. პროგრამის სასწავლო გეგმა;
4. გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯსი სასწავლო პროცესის მართვის დოკუმენტი მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესს, რომლის მიხედვითაც პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. დოკუმენტში ასევე, გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების ძირითადი მოთხოვნები. ინტერვიურების დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისას ითვალისწინებს კონკრეტული მოდულის მოთხოვნებს და შეფასების განხორციელებამდე 10 დღით ადრე შეფასების ინსტრუმენტს ვალიდაციისთვის წარუდგენს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, იგი შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ერთად განიხილავს მის ვალიდურობას, როგროც შინაარსობრივი ასევე, ტექნიკური თვალსაზრისით. სასწავლო პროცესის მენეჯერი წარმოადგენს შიდა შემმოწმებელს (ვალიდატორს) და სწავლის შედეგების დადასტურებამდე მოდულის განმახორციელებელ შესაბამის პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტს, თუ რამდენად თავსებადია მოდულით განსაზღვრულ შემდეგ მიმართულებასთან:
   - არის თუ არა პროფესიული სტუდენტისათვის გასაგებად აღწერილი დავალება;
   - არის თუ არა შეფასებისათვის განსაზღვრული დრო საკმარისი;
   - არის თუ არა შეფასების ინსტრუმენტი ვალიდური, სანდო, მარტივი, მოქნილი და მიუკერძოებელი.

   შეფასების წესი, ასევე არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა განმეორებითი შეფასების და სწავლის შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს. დიკუმენტის თანახმად: განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ და მოდულის დასრულებიდან მაქსიმუმ 10 სამუშაო დღის ვადაში (არ იგულისხმება წინმსწრები მოდულის დასრულება) მოდულის განმახორციელებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს. შეფასების შედეგები პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის მიერ, შეფასებიდან არაუგვიანეს მესამე სამუშაო დღეს იმგვარად, რომ დაცული იქნას კონფიდენციალურობა და პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემები. სწავლის შედეგების გასაჩივრების მექანიზმის თანახმად, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მისთვის არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების უფლებით. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასებასთან დაკავშირებული საკითხებიდან გაასაჩივროს ორი კომპონენტი: შეფასების ობიექტურობა და მიღებული შედეგი; შეფასების პროცედურა. შეფასების გასაჩივრება შესაძლებელია წერილობითი ფორმით, პროფესიული განათლების მასწავლებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

მიერ პროფესიული სტუდენტისთვის შეფასების გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში. საჩივრის განხილვის შედეგი კი, პროფესიული სტუდენტისთვის ცნობილი გახდება საჩივრის წარდგენიდან 5 დღის ვადაში.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ დოკუმენტი არეგულირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაციის მიზანია, კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფა და მისი შესაბამისობა შეფასების ძირითად პრინციპებთან. ვერიფიკაციის მექანიზმი უზრუნველყოფს რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის: ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციას განახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც იქმნება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით. ჯგუფში შეიძლება შედიოდეს: ხარისხის მართვის გუნდის წევრი, რომელიც ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი (ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის დაცვით); პროფესიული განათლების მასწავლებელი (ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის დაცვით), სხვა მოწვეული პირი (დარგის სპეციალისტი, განათლების სპეციალისტი და სხვა). ვერიფიკაციის ჯგუფმა განსაზღვრულ ვადაში უნდა შეისწავლოს წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები/მტკიცებულებები/შეფასების პროცესის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები; საჭიროების შემთხვევაში შეხვდეს შეფასების ინსტრუმენტების შემმუშავებელს, სასწავლო პროცესის მენეჯერს და სხვა ჩართულ მხარეებს; განიხილონ გადასაწყვეტი საკითხები; შეთანხმდნენ შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების საბოლოო კომენტარებზე; ვერიფიკაციის ჯგუფის ყველა წევრს აქვს პროცესში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნაში, დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ანგარიში აუცილებლად უნდა მოიცავდეს როგორს პროცესის აღწერას, შედეგებს და შეფასებებს, ასევე პროცესის გაუმჯობესების რეკომენდაციებს, სამოქმედო გეგმის პროექტს (საჭიროების შემთხვევაში). ანგარიშს ხელს აწერს პროცესზე პასუხისმგებელი და ვერიფიკაციის ჯგუფის წევრები.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. დაწესებულების „საასწავლო პროცესის მართვის” წესის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება მატერიალური/ელექტრონული სახით - მტკიცებულებებით. პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის ხელმძღვანელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს მიღება-ჩაბარების აქტით გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს სათანადო აღრიცხვის მიზნით. პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები ფორმდება უწყისით. კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. დაწესებულების „საასწავლო პროცესის მართვის” წესის მიხედვით, კოლეჯი განახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას, კერძოდ წავლის შედეგის დადასტურების ან ვერ დადასტურების მაჩვენებლების აღრიცხვას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ინტერვიურების დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში პროფესიული განათლების მასწავლებელი ინდივიდუალურად აცნობებს შესაფასებელ პროფესიულ სტუდენტს მიღებული შეფასების შესახებ სპეციალური საკომუნიკაციო არხების საშუალებით; იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოდული არის სხვა მოდულის წინაპირობა, შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ორ დღეში; თუ მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, შეფასების შედეგი პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ხუთდღიან ვადაში. ამ პროცესის მიზანია შეფასების გამჭვირვალობა, დროული უკუკავშირის უზრუნველყოფა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტი განვითარება. ექსპერტთა შეფასებით პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასაწავლო პროცესის მართვის წესი;
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. საქმისწარმოების წესი;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
5. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის - „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება“ - ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზხი არ გამოვლენილა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

II. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	**სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება**
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საწყობის ოპერირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0416
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს „სქილვილის“ დირექტორის ბრძანება N1840 03/02/2026
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი ბათუმი, პეტრე ბაგრატიონის ქ. N129
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება“ შემუშავებულია, შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის N 2012-13 (ბოლო ცვლილება 31/10/2025, N0020870) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“-ის შესაბამისად, რომელიც არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, უფლების მოპოვების, განვითარების, ცვლილების განხორციელებისა და გაუქმების მექანიზმებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას, კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 13 ნოემბრის N23511 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განიხილა პროგრამის „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება” კავშირი დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან და წარმოადგინა, პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება. შპს "სქილვილ”-ის მისიაა მრავალმხრივი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, რომელიც ინოვაციური მიდგომებით სთავაზობს მომხმარებლებს უმაღლესი ხარისხის სასწავლო გარემოს. დაწესებულების მიზანია დაეხმაროს ადამიანებს დასაქმებისა და განათლების ბაზრის ბარიერების დაძლევაში. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე, სადაც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება ხელს უწყობს ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და გამოყენებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და განხორციელება ხელს უწყობს, როგორც ინდივიდუალური პროფესიულ სტუდენტების, ასევე ზოგადად შრომის ბაზრის საჭიროებების დაკმაყოფილებას. შპს „სქილვილის" მისია და ხედვა პირდაპირ უკავშირდება განათლების ხელმისაწვდომობის, ხარისხის და ინოვაციური მიდგომების დანერგვას. შესაბამისად, ახალი საგანმანათლებლო პროგრამის „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება” დანერგვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

სრულად შეესაბამება კოლეჯის სტრატეგიულ მიმართულებებს და მისიას. აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დასადგენად განხორციელდა თვისებრივი კვლევა, რომლის მიზანი იყო როგორც შრომის ბაზრის მოთხოვნის, ისე პროგრამის განხორციელების პრაქტიკული საჭიროებების იდენტიფიცირება. კვლევა მოიცავდა შემდეგ ამოცანებს: სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირების მიმართულებით შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის იდენტიფიცირება (საქართველო); დამსაქმებელთა მოთხოვნების განსაზღვრა - რა ფუნქციებს ასრულებს საწყობის ოპერატორი და რა კომპეტენციებია პრიორიტეტული; პროფესიის განვითარების ტენდენციების შეფასება; დასაქმების პლატფორმებზე ვაკანსიების ანალიზით მოთხოვნის პრაქტიკული სურათის მიღება; მიღებული მიგნებების საფუძველზე პროგრამის შინაარსის/პრაქტიკული კომპონენტის მიმართულებების რეკომენდაციების ჩამოყალიბება. აღნიშნული მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება აუცილებელია როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე განსაკუთრებით ბათუმში რეგიონულ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმი და ზოგადად აჭარის რეგიონი განთქმულია თავისი ლოჯისტიკური პოზიციით საწყობის ოპერირების პროფესიულ პროგრამას ბათუმში მხოლოდ ორი კოლეჯი ახორციელებს, რაც აშკარად მიუთითებს ბაზარზე კვალიფიციური კადრების მნიშვნელოვანი დეფიციტის არსებობაზე. სწორედ ამიტომ კოლეჯის მიერ „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება" პროგრამის დამატება არის სტრატეგიული ინვესტიცია რეგიონულ შრომის ბაზარზე არსებული დეფიციტის აღმოფხვრაში. გარდა იმისა, რომ პროგრამა გაზრდის კადრების რაოდენობას ბაზარზე, ასევე მნიშვნელოვნად გაიზრდება კვალიფიკაციის დონეც. მოკლე პერიოდში, ამ პროგრამის არსებობა შეავსებს ბაზარზე კადრების მოთხოვნას, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში შექმნის სტაბილურ, პროგრესულ და ტექნიკურად მომზადებულ სამუშაო ძალას, რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევს ამ პროფესიის წარმომადგენლების თვიური ანაზღაურების მატებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება" დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, რომელიც სრულად შესაბამისობაშია, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან საწყობის ოპერირება/Warehousing. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესი ხორციელდება „შპს „სქილვილ"-ის სასწავლო პროცესის მართვის დამტკიცების თაობაზე" დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის ბრძანებით N 17632 (ბოლო ცვლილება - 23/12/2025, N27803) დამტკიცებული წესის პირველი თავის შესაბამისად. კოლეჯის მიერ შიდა შეფასება, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, ხორციელდება აპლიკანტთან მოტივაციური გასაუბრებით. მოტივაციური გასაუბრების ფორმა მოიცავს ისეთ საკითხებს, რომელიც გასაუბრების კომისიას უქმნის წარმოდგენას, აპლიკანტის ცოდნის, გამოცდილებისა და უნარების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება" დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

3. შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის N 2012-13 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვითაც დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა; A გარემო-თეორიული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე - პროფესიულ სტუდენტების რაოდენობა თეორიულ სამეცადინო ოთახში გაიანგარიშება შემდეგი პრინციპით: ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სამუშაო ადგილების რაოდენობა; კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა. B გარემო-კომპიუტერული კლასი - გაანგარიშდება პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობაზე. კომპიუტერების რაოდენობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ ყველა პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე დასწრება ინდივიდუალურ კომპიუტერთან. C გარემო-პრაქტიკისათვის განკუთვნილი სივრცე - იძლევა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების საშუალებას. პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გაანგარიშების დროს მხედველობაში მიიღება შემდეგი: ყოველ პროფესიულ სტუდენტზე C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; ყოველ პროფესიულ სტუდენტზე C სასწავლო გარემოს ფართი პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით; კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა. დისტანციური სწავლების შესაძლებლობა; პროგრამის ავტორიზაციის ვადის ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა პროგრესის შესაბამისად სასწავლო წლების მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა განაწილება; ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა; ბიბლიოთეკის რესურსის საკამრისობა;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა (წინა წლების მონაცემებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, მიმართულებისა და დარგის სპეციალისტებზე ბაზარზე არსებული მოთხოვნა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები და სხვ); საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და ზრდის შესაძლებლობები (მაგ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობის გაზრდა, პროგრამისთვის საჭირო საბიბლიოთეკო ფონდის გამდიდრება, დამატებითი აუდიტორიების/გარემოს გამოყოფა, პრაქტიკის ბაზებთან თანამშრომლობის გაფართოება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება და სხვ.). დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება“ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტში აღნიშნულია, რომ არსებული კვოტისათვის დაწესებულებას ყავს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, გააჩნია ყველა საჭირო რესურსი და უზრუნველყოფს პრაქტიკის სრულყოფილ გატარებას პარტნიორ კომპანიებში. აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის დადგენილია საერთო კვოტა 40 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუირებისა და დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების, ასევე, პროგრამის ანალიზითა და პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით დასტურდება, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

4. დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და სასწავლო რესურსებით, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაღალ ხარისხს და ეფექტიანობას. სწავლის პროცესში გამოყენებულია ინტერაქციული დაფები, რაც ხელს უწყობს ვიზუალური და ინტერაქტიული სწავლების მეთოდების ეფექტიან გამოყენებას; თანამედროვე კომპიუტერები და ლეპტოპები, რაც პროფესიულ სტუდენტებს საშუალებას აძლევს იმუშაონ უახლეს პროგრამულ გარემოში; მიკროფონები და აუდიო სისტემები, რომლებიც აუმჯობესებენ კომუნიკაციის ხარისხს და უზრუნველყოფენ ხმის მკაფიო გადაცემას; სწრაფი და სტაბილური ინტერნეტი, რაც ონლაინ და ჰიბრიდული სწავლების სრულფასოვნად განხორციელებას უწყობს ხელს; მრავალფეროვანი ელექტრონული სასწავლო მასალები, რაც საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია.

   დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება“ მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსების სია, რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებულია განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება“ არჩევით მოდულებს არ ითვალისწინებს.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

6. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 31 ოქტომბრის № 00020870 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „სქილვილ“-ის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“. აღნიშნული წესის მიხედვით პროგრამის ინიცირება შეუძლია ნებისმიერ პირს. პროგრამის ინიცირების მიზნით, ინიციატორი წერილობით მიმართავს კოლეჯის აკადემიურ დირექტორს და წარუდგენს არგუმენტირებულ დასაბუთებულ პოზიციას პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის თაობაზე (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ინიციატორი დირექტორია). პროგრამის განხორციელების თაობაზე ინიცირებასა და მიზანშეწონილობის დასაბუთებას აკადემიური დირექტორი წარუდგენს დირექტორს და დირექტორის მოადგილეს. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში იწყება პროგრამის შემუშავების პროცესი. იმ შემთხვევაში თუ ინიცირების ავტორი თავად დირექტორია, ინიცირების შესახებ ინფორმაციას აწვდის აკადემიურ დირექტორს, რის შემდეგაც იწყება პროგრამის შემუშავების პროცესი. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული პაკეტი გადაეცემა კოლეჯის ხარისხის მართვის გუნდს. ხარისხის მართვის გუნდი ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას ავტორიზაციის სტანდარტებთან და დასკვნას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ამ მუხლით განსაზღვრული პროცედურების დასრულებისა და პროგრამის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე კოლეჯის ხარისხის მართვის გუნდის დადებითი დასკვნის საფუძველზე, პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურსამართლებრივი აქტით. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დაწესებულებას დირექტორის მიერ 2026 წლის 3 თებერვლის №1840 ბრძანებით.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - „საწყობის ოპერირება“ საფუძველზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია როგორც შინაარსთან, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

პროგრამა მოიცავს შემდეგ მოდულებს: საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა; სასაწყობო ოპერაციებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და უსაფრთხოების ნორმები; საქონლის მიღება საწყობში; საწყობში საქონლის ტრანსპორტირება; საქონლის დასაწყობება; საქონლის აგროვება; საწყობიდან საქონლის გაცემა; საწყობში საქონლის აღრიცხვა. აღნიშნული მოდულები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ, პროფესიულ სტუდენტს შეუძლია: აღწეროს საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და საწყობის ოპერაციები; აღწეროს სასაწყობო ოპერაციებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და უსაფრთხოების ნორმები; მიიღოს საქონელი საწყობში; განახორციელოს საქონლის ტრანსპორტირება საწყობში; დაასაწყობოს საქონელი; ააგროვოს საქონელი; გასცეს საქონელი საწყობიდან; აღრიცხოს საქონელი საწყობში. მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს სატრანსპორტო-საექსპედიტორო სფეროში დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არის შინაარსობრივად გამართლებული, ზუსტი და არ ქმნის შეცდომაში შემყვან წარმოდგენას პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „საწყობის ოპერირება“ საფუძველზე და მომზადებულია დირექტორის 2025 წლის 31 ოქტომბრის № 00020870 ბრძანებით დამტკიცებული შპს „სქილვილ“-ის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის“ მიხედვით, პროცედურების სრული დაცვით. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები და სხვა. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტის, მოდულების, სასწავლო გეგმისგან (მათ შორის ქართული ენის A2 და ქართული ენის B2 გათვალისწინებით და მის გარეშეც), პროგრამის პაკეტს თან ერთვის ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს 9 კრედიტის მოცულობით, 8 სპეციალიზაციის მოდულს 81 კრედიტის მოცულობით.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების მისია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი;
4. სასაწავლო პროცესის მართვის წესი;
5. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება“ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;
7. საგანმანათლებლო პროგრამა „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება“;
8. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება კოლეჯის შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულებისა და პარტნიორი კომპანიების მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. სწავლებისათვის კოლეჯს გააჩნია 40 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი A/B ტიპის სასწავლო გარემო რომელიც აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- ✓ 40 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
- ✓ 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის;
- ✓ 1 ერთეული დემონსტრირების ციფრული საშუალება/ჭკვიანი დაფა;
- ✓ 1 ერთეული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის;
- ✓ 40 ერთეული კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის;

პრაქტიკის ხელშეკრულებით C ტიპის სასწავლო გარემოდ განსაზღვრულია შპს „ნოვა“ - ერთდროულად მიიღებს არაუმეტეს 40 პროფესიულ სტუდენტს.

დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აუდიტორიების აღჭურვილობა იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესი სრულყოფილად განხორციელდეს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულადაა უზრუნველყოფილი დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი (40 პროფესიული სტუდენტი) ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პრაქტიკის წარმართვაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებისა და სასწავლო გარემოს დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯის მატერიალური ბაზა, პარტნიორი ობიექტების რესურსი, რესურსების ხელმისაწვდომობა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი, ფაქტობრივად ხელმისაწვდომი და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და შინაარსთან.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება“ გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები 16 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მათ შორის 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, ხოლო 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს დარგობრივ მოდულებს. დაწესებულებას მოდულების მიხედვით ჰყავს 2 განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომლებსაც შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში პროგრამის განხორციელების პროცესში ერთმანეთის ჩანაცვლება. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. ვიზიტის ფარგლებში განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებით და მათი პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კვალიფიკაცია, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულებისათვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება“ კოლეჯის „სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით“ განსზაღვრული მოთხოვნების შესაბამისად შერჩეულია პროფესიული განათლების მასწავლებლები, თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, შესაბამისად პირად საქმეში განთავსებულია დიპლომები ან/და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები - ცნობები. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები მოდულების განმახორციელებელ პირებთან, რის შედეგად დადასტურდა, რომ მათ აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, ნაწილი მათგანი კი ფლობენ სათანადო გამოცდილებას პროფესიული პროგრამების განხორციელების სფეროში.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის N17631 (ბოლო ცვლილება 05/03/2026, N 00004355) ბრძანებით განსაზღვრულია პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული მოთხოვნები, რომლის მიხედვით, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი მიმართულების უმაღლესი ან პროფესიული განათლების ან/და შესაბამის დარგში მუშაობის ან/და შესაბამისი მიმართულებით სწავლების არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილების მქონე პირი. პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის/ მოდულების შემუშავება/ადაპტირების და სრულყოფის პროცესს, კოორდინაციას უწევს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანისა და განვითარების პროცესს, უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების კონსულტირებას სწავლების და შეფასების, კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში; ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას და ვერიფიკაციას (ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით) და უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას. ექსპერტთა მიერ, პირადი საქმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავება-განხორციელებაში, ასევე არის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები დაწესებულებაში ხელმისაწვდომია სრულად ელექტრონული სახით. საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების საკითხები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის N2012-13 (ბოლო ცვლილება 20/09/2025, N 17643) ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი“-ს შესაბამისად. დოკუმენტის თანახმად, კოლეჯში პროფესიული სტუდენტების და პერსონალისთვის საგანმანათლებლო რესურსით მომსახურება ხორციელდება საბიბლიოთეკო სერვისების საშუალებით, რომლიც მოიცავს რესურსცენტრს, LMS სისტემასა და ელექტრონულ ბიბლიოთეკას. ელექტრონული ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია დაწესებულების პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად, ელექტრონული პლატფორმის გამოყენების საშუალებით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების რესურსცენტრის (ბიბლიოთეკის) დათვალიერება, შერჩევითი პრინციპით მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსის შემოწმება, მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით. დაწესებულებას წვდომა აქვს საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდზე.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

6. დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი ადაპტირებული გარემოს შექმნას, რათა მათ სხვა პროფესიულ სტუდენტებთან თანაბარ პირობებში შეძლონ სრულფასოვანი განათლების მიღება, რაც ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების ინტეგრაციას საზოგადოებაში. სსსმ/შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომია, როგორც პროგრამით გათვალისწინებულ, ისე ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსები. დაწესებულებაში არსებული სწავლების მეთოდები, მასალები და ტექნოლოგიები სრულად ადაპტირებულია პროფესიულ სტუდენტთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად. დაწესებულების „სასწავლო პროცესის მართვის” დოკუმენტი არეგულირებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურებს, სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში ჩართვისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სსსმ პირების სასწავლო პროცესში ჩართვის უზრუნველყოფის მექანიზმებს. შშმ და სსსმ პირების სწავლებასა და სწავლის პროცესში ჩართულობას კოლეჯი უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, რაც გულისხმობს: შშმ და სსსმ პირთათვის კოლეჯის შენობაში შესვლას პანდუსის საშულებით, ხოლო შენობაში გადაადგილებას ლიფტის გამოყენებით; ადაპტირებული სანიტარული კვანძების არსებობას; კოლეჯის თანამშრომლების ინფორმირებას სსსმ და შშმ პირთა კონსულტაციისა და დახმარებისათვის, ასევე შეუფერხებელი გადაადგილებისათვის კოლეჯის ტერიტორიაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს შშმ და სსსმ პირის კომუნიკაციას – კონსულტაციას კოლეჯის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან; მატერიალური რესურსებით (მათ შორის კომპიუტერითა და ინტერნეტით) შეუზღუდავ სასრგებლობას სამუშაო დღის საათებში, კოლეჯის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება“ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ ვაუჩერული დაფინანსების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას. პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს ყველა აუცილებელ ხარჯს, მათ შორის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, პროფესიული განათლების მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგებს, სახელმძღვანელოებისა და სასწავლო აპლიკაციების შეძენას, პროფესიულ სტუდენტთა აქტივობებსა და პროფესიულ ღონისძიებებში მონაწილეობას. გარდა ამისა, გათვალისწინებულია ცნობადობის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ღონისძიების ჩატარების ხარჯები. საპროგნოზო ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას, რომლის რენტაბელობის ზღვარი 20 პროფესიული სტუდენტია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
4. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
5. პროფესიულ განათლების მასწავლებელთა პირადი საქმე;
6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
7. სასწავლო პროცესის მართვა;
8. ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი;
9. ელექტრონული ბიბლიოთეკა;
10. ვებ გვერდი;
11. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
12. გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების პროფესიული პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმი, რომელიც „ხარისხის მართვის პოლიტიკის“ ძირითად პროცესს წარმოადგენს და მოიცავს შესაბამისობის შეფასებას მოქმედ მარეგულირებელ აქტებთან და პროცესის ეფექტიანობის შეფასებას. პროგრამების შეფასებისათვის ხარისხის მართვის გუნდს შექმნილი აქვს კითხვარები დაინტერესებული მხარეებისათვის. გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის შესაბამისად კი, კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე, რიგი საკითხების გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისი კომპეტენციის მქონე პერსონალი შეიმუშავებს და ახორციელებს აქტივობებს.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. კოლეჯის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის” შესაბამისად, პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება შემდეგ შემთხვევებში: კოლეჯის ინიციატივით; პროგრამის შემუშავების საფუძვლად არსებული პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში ან პროგრამის შემუშავების მარეგულირებელ სხვა საკანონმდებლო აქტებში ან და სხვა ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში (მათ შორის, სამუშაოზე დაფუძნებული მიდგომით სწავლება და სხვა) მათთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით. კოლეჯის ინიციატივით, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება ემსახურება პროგრამის განვითარებას. ამ მიზნით, კოლეჯის წარმომადგენელთა ინიციატივა ეყრდნობა შემდეგ გარემოებებს: ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გამოყენების შედეგები, ხარისხის მართვის გუნდის დასკვნები და რეკომენდაციები; ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების შედეგები, გარე შემფასებლების/ექსპერტების დასკვნები და რეკომენდაციები; პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები; პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების/დამსაქმებლების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგები (არსებობის შემთხვევაში); პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ცვლილება ან ახალი ტექნოლოგიების/მიდგომების დანერგვა; სხვა ნებისმიერი გარემოება, რაც მიზნად ისახავს პროგრამის განვითარებას.

   კოლეჯის ინიციატივით დასაშვებია პროგრამაში შემდეგი სახის ცვლილებების განხორციელება: პროგრამის სახელწოდების ცვლილება; პროგრამის სტრუქტურის შეცვლა, რაც გამოწვეულია არჩევითი მოდულების დამატებით ან ამოღებით; მისაღწევი სწავლის შედეგების შეცვლა, რაც გამოწვეულია არჩევითი მოდულების დამატებით ან ამოღებით; მოდულების მესამე ნაწილში (დამხმარე ჩანაწერები) ნებისმიერი ხასიათის ცვლილება, მათ შორის: თემატიკის გამრავალფეროვნება, სასწავლო მეთოდების შეცვლა, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლა, საათების გადანაწილება, სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

რესურსის შეცვლა და სხვა; პროგრამის განხორციელების ადგილის ცვლილება; სასწავლო გეგმის ცვლილება; ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, რომელიც მიზნად ისახავს დოკუმენტის ტექნიკურ ან რედაქციულ გამართვას ან ჩანაწერების შესაბამისობაში მოყვანას მოქმედ კანონმდებლობასთან; პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილება და სხვ. ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც აუცილებლად უნდა აისახოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში, დასაბუთება და შესაბამისი მტკიცებულება სასწავლო პროცესის მართვის გუნდის ინიციატივით დირექტორის მიერ ეგზავნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ასევე, შპს „სქილვილ"-ის „ხარისხის მართვის პოლიტიკა" მიხედვით, ხარისხის მართვა კომპლექსური პროცესია და მისი მიზანია კოლეჯის, როგორც ერთიანი ორგანიზმის ჰარმონიული და მდგრადი განვითარება. ხარისხის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და კოლეჯში მიმდინარე პროცესები ორ ძირითად ნაწილად იყოფა: ძირითადი და დამხმარე პროცესები. ერთ-ერთი ძირითადი პროცესია, სასწავლო პროცესის მართვა და მისი შემადგენელი ქვეპროცესებია: პროგრამის შეფასების შედეგების გათვალისწინებით ცვლილებების ინიცირება პროგრამაში; პროგრამის შეფასების შედეგების გათვალისწინებით ცვლილებების ინიცირება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში; პროგრამის შეფასების შედეგების გათვალისწინებით პროგრამის გაუქმება.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ხარისხის მართვის პოლიტიკა;
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი;
4. ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის სასწავლო გეგმა არის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას გაითვალისწინება პროგრამის კომპონენტებით/ მოდულებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს, რაც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ სამუშაო საათებს. სასწავლო გეგმაში მიეთითება შემდეგი სახის ინფორმაცია: პროგრამის სახელწოდება; მოდულის სახელწოდება; მოდულის სარეგისტრაციო ნომერი; მოდულის ხანგრძლივობა კრედიტებში; მოდულზე დაშვების წინაპირობები; მოდულის განხორციელების ხანგრძლივობა კვირეებში; კვირეული სასწავლო დატვირთვა; საათების ჯამი (საკონტაქტო, დამოუკიდებელი, შეფასება); სხვა სახის ინფორმაცია, კოლეჯის გადაწყვეტილებით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი სასწავლო გეგმა წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურად. დადგინდა, რომ გეგმა სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს. პროფესიული პროგრამის „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირების“ სასწავლო გეგმა ასახავს მოდულების თანმიმდევრობას, განსაზღვრავს თითოეული მოდულის განხორციელების კვირობრივ განრიგს და უზრუნველყოფს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მკაფიო გაწერას. გეგმა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას. სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მიდგომას იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაირიცხება არაქართულენოვანი პროფესიულ სტუდენტები. მათთვის გათვალისწინებულია ქართული ენის შემავსებელი მოდული. ექსპერტთა შეფასებით „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას. გეგმა არის მკაფიოდ სტრუქტურირებული.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო პროცესს, რაც გულისხმობს მათ ინტერესებზე ორიენტირებულ მიდგომას და სწრაფი ადაპტაციის შესაძლებლობას მიმდინარე მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულების წარმოამადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ დაწესებულებაში მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს უკუკავშირის მუდმივ შეგროვებას და ანალიზს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. ასევე, გამოყოფილია კარიერული ზრუნვის მენეჯერი, რომელიც აქტიურად მუშაობს პროფესიულ სტუდენტების პროფესიული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობაზე. სწავლებასა და სწავლის პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი და მოქნილი მეთოდები, რომლებიც ემყარება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სწავლების ეფექტურობის გაზრდას. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტისთვის შეიქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც მის ინტერესებსა და აკადემიური მომზადების დონეს შეესაბამება. პროფესიულ სტუდენტთა უფლებები დაცულია შპს „სქილვილის“ შესაბამისი შინაგანაწესისა და სხვა დებულებების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათთვის თანასწორ, უსაფრთხო და ხარისხიან საგანმანათლებლო გარემოს. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ობიექტურ შეფასებას. ექსპერტებთან გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება იმოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად გაითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინტერესებს.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება“ ინტეგრირებულია სწავლების თანამედროვე, პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიები. კოლეჯში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ქმნის შესაძლებლობას, რომ სწავლება განხორციელდეს რეალურ სამუშაო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში, რაც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში აქტიურად იქნება გამოყენებული სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადიები, სიტუაციური ანალიზი, პროფესიული როლების იმიტაცია, დემონსტრაციებისა და პრაქტიკული დავალებების კომბინაცია, თანასწორებს შორის სწავლების ელემენტები და ინტერაქტიური ჯგუფური მუშაობა. აღნიშნული მიდგომები პროფესიულ სტუდენტებს საშუალებას მისცემს რეალური პროცესების ანალიზისა და პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღების უნარები განივითარონ. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაში გამოსაყენებელი სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს მოდერნიზაციას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აუდიტორია აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო ტექნიკითა და რესურსით. დაწესებულებას ასევე შესყიდული აქვს პროგრამის განხორციელებისათვის სპეციფიკური ელექტრონული პროგრამა, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას. დარგის თანამედროვე ტექნოლოგიები და პროგრამული უზრუნველყოფა ხელმისაწვდომია პრაქტიკის ობიექტზეც. ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესის წარმართვა დაგეგმილია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

4. შპს „სქილვილი“ სრულად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ინკლუზიურ და ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს. დაწესებულების „სასწავლო პროცესის მართვის“ წესი ითვალისწინებს, ინდივიუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება შესაძლოა განისაზღვროს მაშინ, როდესაც: გარე მობილობით (სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსული პროფესიული სტუდენტი) ან შიდა მობილობით (კოლეჯის მიერ განხორციელებული ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასული პროფესიული სტუდენტი) სარგებლობის შედეგად პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხება კოლეჯში და მიენიჭება პროფესიულ სტუდენტის სტატუსი, თუმცა, მისი სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები კოლეჯის (მიმღები პროგრამის) სწავლის შედეგებისგან; საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას; კოლეჯის პროფესიული სტუდენტი, რომელსაც მიენიჭა სსსმ ან შშმ პირის სტატუსი და ვერ აღწევს სწავლის შედეგებს. სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით, საჭიროებს მასზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას; პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში ან პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად; ფორმალური ან არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული განათლების აღიარების შემთხვევაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებს/ უფლებებს და სთავაზობს მათ შესაბამის სერვისებს. დოკუმენტის შესწავლით და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე, ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

5. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. სწავლების შედეგების მიღწევა დაგეგმილია როგორც დაწესებულების შენობაში, ასევე პარტნიორ დაწესებულებაში. პროფესიული პროგრამისათვის ,,სასაწყობო ლოჯისტიკა და ოპერირება“ დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება: შპს „ნოვა“ - ერთდროულად მიიღებს არაუმეტეს 40 პროფესიულ სტუდენტს. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში განსაზღვრულია თანამშრომლობის მიზნები, მხარეთა ვალდებულებები, პრაქტიკის განხორციელების დეტალები, მისაღები პროფესიულ სტუდენტების რაოდენობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, აღჭურვილობა და მასალა-ნედლეული. ხელშეკრულება გაფორმებულია მინიმუმ პროგრამის განხორციელების ვადით. ექსპერტთა ჯგუფი გაესაურა პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლებს, რომელთაც გამოხატეს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულების მზაობა.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

6. სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრული მოდულების სწავლებისთვის გამოიყენება დაწესებულების აუდიტორიები, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო. პროგრამა არ საჭიროებს დამატებით უსაფრთხოების მოთხოვნებს. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასაწავლო პროცესის მართვის წესი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
3. პროგრამის სასწავლო გეგმა;
4. ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტთან;
5. გასაუბრების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვის დოკუმენტი მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესს, რომლის მიხედვითაც პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. დოკუმენტში ასევე, გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების ძირითადი მოთხოვნები. ინტერვიურების დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისას ითვალისწინებს კონკრეტული მოდულის მოთხოვნებს და შეფასების განხორციელებამდე 10 დღით ადრე შეფასების ინსტრუმენტს ვალიდაციისთვის წარუდგენს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, იგი შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ერთად განიხილავს მის ვალიდურობას, როგროც შინაარსობრივი ასევე, ტექნიკური თვალსაზრისით. სასწავლო პროცესის მენეჯერი წარმოადგენს შიდა შემმოწმებელს (ვალიდატორს) და სწავლის შედეგების დადასტურებამდე მოდულის განმახორციელებელ შესაბამის პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტს, თუ რამდენად თავსებადია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

მოდულით განსაზღვრულ შემდეგ მიმართულებასთან: არის თუ არა პროფესიული სტუდენტისათვის გასაგებად აღწერილი დავალება; არის თუ არა შეფასებისათვის განსაზღვრული დრო საკმარისი; არის თუ არა შეფასების ინსტრუმენტი ვალიდური, სანდო, მარტივი, მოქნილი და მიუკერძოებელი. შეფასების წესი, ასევე არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა განმეორებითი შეფასების და სწავლის შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს. დოკუმენტის თანახმად: განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ და მოდულის დასრულებიდან მაქსიმუმ 10 სამუშაო დღის ვადაში (არ იგულისხმება წინმსწრები მოდულის დასრულება) მოდულის განმახორციელებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს. შეფასების შედეგები პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის მიერ, შეფასებიდან არაუგვიანეს მესამე სამუშაო დღეს იმგვარად, რომ დაცული იქნას კონფიდენციალურობა და პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემები. სწავლის შედეგების გასაჩივრების მექანიზმის თანახმად, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მისთვის არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების უფლებით. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასებასთან დაკავშირებული საკითხებიდან გაასაჩივროს ორი კომპონენტი: შეფასების ობიექტურობა და მიღებული შედეგი; შეფასების პროცედურა. შეფასების გასაჩივრება შესაძლებელია წერილობითი ფორმით, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ პროფესიული სტუდენტისთვის შეფასების გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში. საჩივრის განხილვის შედეგი კი, პროფესიული სტუდენტისთვის ცნობილი გახდება საჩივრის წარდგენიდან 5 დღის ვადაში.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ დოკუმენტი არეგულირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაციის მიზანია, კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფა და მისი შესაბამისობა შეფასების ძირითად პრინციპებთან. ვერიფიკაციის მექანიზმი უზრუნველყოფს რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის: ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც იქმნება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით. ჯგუფში შეიძლება შედიოდეს: ხარისხის მართვის გუნდის წევრი, რომელიც ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი (ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის დაცვით); პროფესიული განათლების მასწავლებელი (ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის დაცვით), სხვა მოწვეული პირი (დარგის სპეციალისტი, განათლების სპეციალისტი და სხვა). ვერიფიკაციის ჯგუფმა განსაზღვრულ ვადაში უნდა შეისწავლოს წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები/მტკიცებულებები/შეფასების პროცესის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები; საჭიროების შემთხვევაში შეხვდეს შეფასების ინსტრუმენტების შემმუშავებელს, სასწავლო პროცესის მენეჯერს და სხვა ჩართულ მხარეებს; განიხილონ გადასაწყვეტი საკითხები; შეთანხმდნენ შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების საბოლოო კომენტარებზე; ვერიფიკაციის ჯგუფის ყველა წევს აქვს პროცესში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნაში, დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ანგარიში აუცილებლად უნდა მოიცავდეს როგორს პროცესის აღწერას, შედეგებს და შეფასებებს, ასევე პროცესის გაუმჯობესების რეკომენდაციებს, სამოქმედო გეგმის პროექტს (საჭიროების შემთხვევაში). ანგარიშს ხელს აწერს პროცესზე პასუხისმგებელი და ვერიფიკაციის ჯგუფის წევრები.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. დაწესებულების „საასწავლო პროცესის მართვის" წესის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება მატერიალური/ელექტრონული სახით - მტკიცებულებებით. პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის ხელმძღვანელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/მტკიცებულებებს მიღება-ჩაბარების აქტით გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს სათანადო აღრიცხვის მიზნით. პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები ფორმდება უწყისით. კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის / მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისი ინახება უვადოდ.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. დაწესებულების „სასწავლო პროცესის მართვის" წესის მიხედვით, კოლეჯი განახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას, კერძოდ წავლის შედეგის დადასტურების ან ვერ დადასტურების მაჩვენებლების აღრიცხვას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ინტერვიურების დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში პროფესიული განათლების მასწავლებელი ინდივიდუალურად აცნობებს შესაფასებელ პროფესიულ სტუდენტს მიღებული შეფასების შესახებ სპეციალური საკომუნიკაციო არხების საშუალებით; იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოდული არის სხვა მოდულის წინაპირობა, შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ორ დღეში; თუ მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, შეფასების შედეგი პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ხუთდღიან ვადაში. ამ პროცესის მიზანია შეფასების გამჭვირვალობა, დროული უკუკავშირის უზრუნველყოფა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტი განვითარება. ექსპერტთა შეფასებით პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ განმსაზღვრელი შეფასების გარდა გამოიყენებენ განმავითარებელ შეფასებასაც. პროფესიული განათლების მასწავლებლები პერიოდულად განიხილავენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შედეგებს ინდივიდუალურ რეჟიმში პროფესიულ სტუდენტებთან, რომელიც გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. პროფესიული სტუდენტის მხრიდან კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური კონსულტირების გზით, პროფესიული განათლების მასწავლებლი გააცნობს თავის მოსაზრებებს და პროფესიულ სტუდენტთან ერთად ეძებს გზებს სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. პიროვნული თავისებურებებიდან და ინტელექტუალუტი შესაძლებლობებიდან გამომდინარე განსხვავებულია მიდგომაც. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად შესაძლებელია ინიცირდეს სწავლების ან/და შეფასების სისტემის გაუმჯობესების ინიციატივები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასაწავლო პროცესის მართვის წესი;
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. საქმისწარმოების წესი;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
5. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის - „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი" - ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

III. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	**პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი**
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0613
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს სქილვილის დირექტორის ბრძანება 03.02.2026 N1782
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი ბათუმი, პეტრე ბაგრატიონის ქ. N129
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ შემუშავებულია, შპს „სქილვილ“-ის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის N 2012-13 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 31/10/2025, N0020870) დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი”-ის შესაბამისად, რომელიც არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, უფლების მოპოვების, განვითარების, ცვლილების განხორციელბისა და გაუქმების მექანიზმებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას, კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 13 ნოემბრის N 23511 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განიხილა პროგრამის „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ კავშირი დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან. შპს „სქილვილ“-ის მისიაა მრავალმხრივი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, რომელიც ინოვაციური მიდგომებით სთავაზობს მომხმარებლებს უმაღლესი ხარისხის სასწავლო გარემოს. კოლეჯის მიზანია, დაეხმაროს ადამიანებს დასაქმებისა და განათლების ბაზრის ბარიერების დაძლევაში. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე, სადაც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება ხელს უწყობს, ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და გამოყენებას. დაწესებულების მისია დაფუძნებულია თანამედროვე საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარების პრინციპებზე, რომლებიც სრულად შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. ორგანიზაცია ხელს უწყობს საზოგადოების ინტელექტუალურ, სოციალურ და ეკონომიკურ გაძლიერებას, რაც აისახება სწავლების ინოვაციურ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

პრაქტიკაზე ორიენტირებულ მიდგომებში. პროფესიული პროგრამა „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელიც პასუხობს ციფრული ეკონომიკის მზარდ მოთხოვნებს. აღნიშნული პროგრამა საშუალებას აძლევს პროფესიულ სტუდენტებს, სწრაფად შეიძინონ და განივითარონ ტექნიკური და პრაქტიკული უნარები, რაც უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე. პროგრამა ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს, როგორიცაა პროექტზე დაფუძნებული სწავლება, რეალური ამოცანების გადაჭრა და პრაქტიკული გამოცდილების დაგროვება. დაწესებულების სტრატეგიული მიზანი N2 მოიცავს, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას. პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის პროგრამა არა მხოლოდ შეესაბამება კოლეჯის სტრატეგიულ მიზნებს, არამედ მნიშვნელოვნად აძლიერებს მათ. პროგრამა ხელს უწყობს საგანმანათლებლო ხარისხის გაუმჯობესებას; ქმნის საერთაშორისო პარტნიორობის შესაძლებლობებს; ამყარებს კოლეჯის რეპუტაციას თანამედროვე და მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდებაში; უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტების კარიერულ განვითარებასა და დასაქმებას. პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის პროგრამა „სქილვილ“-ის სტრატეგიული განვითარების ბუნებრივ და ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს, რაც კოლეჯს ეხმარება, გახდეს თანამედროვე და ინოვაციური პროფესიული განათლების ცენტრი. დაწესებულების ხედვისა და ღირებულებების გათვალისწინებით, „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის“ პროფესიული პროგრამა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებისა და მისი მიზნების განხორციელებისკენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რომელიც სრულად შესაბამისობაშია, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი/Software Developing, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესი რეგულირდება „შპს „სქილვილ“-ის „სასწავლო პროცესის მართვის დამტკიცების თაობაზე“ დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის ბრძანებით N 17632 (ბოლო ცვლილება - 23/12/2025, N27803) დამტკიცებული წესის პირველი თავის შესაბამისად. კოლეჯის მიერ შეფასება უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებითა და აპლიკანტთან მოტივაციური გასაუბრებით.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით 2024 წლის 20 დეკემბრის N 2012-13 (ბოლო ცვლილება 10.12.2025, ბრძანება N 26969) დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსზაღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა; A გარემო - თეორიული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე; B გარემო - კომპიუტერული კლასი; C გარემო - პრაქტიკისათვის განკუთვნილი სივრცე; მოდულის/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

პროგრამის განხორციელებისათვის შესაძლოა საჭირო იყოს ორი ან სამი ტიპის გარემო ერთად, ამ შემთხვევაში დაანგარიშებისას გათვალისწინებული უნდა იქნას თითოეული გარემოს შესაძლებლობა/გამტარობა. დისტანციური სწავლების შესაძლებლობა; ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა; ბიბლიოთეკის რესურსის საკმარისობა; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა; ადამიანური და მატერიალური რესურსების საკმარისობა და სხვა აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ შემუშავებულია დოკუმენტი მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთების შესახებ. პროგრამისთვის გათვალისწინებული გარემოებების მიხედვით, პროგრამაზე მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის 80 პროფესიული სტუდენტი, ჯგუფში 40 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და სასწავლო რესურსებით, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაღალ ხარისხს და ეფექტიანობას. სწავლის პროცესში გამოყენებულია: ინტერაქციული დაფები, რაც ხელს უწყობს ვიზუალური და ინტერაქტიული სწავლების მეთოდების ეფექტიან გამოყენებას; თანამედროვე კომპიუტერები და ლეპტოპები, რაც პროფესიულ სტუდენტებს საშუალებას აძლევს იმუშაონ უახლეს პროგრამულ გარემოში; მიკროფონები და აუდიო სისტემები, რომლებიც აუმჯობესებენ კომუნიკაციის ხარისხს და უზრუნველყოფენ ხმის მკაფიო გადაცემას; სწრაფი და სტაბილური ინტერნეტი, რაც ონლაინ და ჰიბრიდული სწავლების სრულფასოვნად განხორციელებას უწყობს ხელს; მრავალფეროვანი ელექტრონული სასწავლო მასალები, რაც საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია. ექსპერტთა მიერ, შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლით და ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ დაწესებულება სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსების სრულ შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტთან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ არჩევით მოდულებს არ ითვალისწინებს.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია, კოლეჯის დირექტორი. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი “ დამტკიცებულია, კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 03 თებერვლის N 1782 ბრძანებით

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი” სახელწოდებას, პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ ეფუძნება, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს - პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი/Software Developing. პროგრამა შემუშავებულია კოლეჯს “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის” და პროფესიული საგანამნათლებლო სტანდარტი ,,პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის” შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის შემადგენელი ნაწილებია: ძირითადი დოკუმენტი; მოდულები; სასწავლო გეგმა/სასწავლო გეგმები; პროგრამის მატერიალური რესურსები. პროგრამის შემუშავების პროცესში ასევე განისაზღვრება: პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი; პროგრამის განხორციელების ბიუჯეტი; პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული/გასაფორმებელი ხელშეკრულებები/შეთანხმებები (არსებობის შემთხვევაში). პროგრამის ძირითადი დოკუმენტით განისაზღვრება პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდები, შეფასების მიდგომები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, არსებობის შემთხვევაში - პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები, ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სასწავლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სხვა ინფორმაცია საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებისა და კოლეჯის სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების მისია;
2. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი;
4. სასაწავლო პროცესის მართვის წესი;
5. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;
7. საგანმანათლებლო პროგრამა „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“;
8. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ განხორციელება დაგეგმილია დისტანციური სწავლების ფორმატით. კოლეჯის ბაზაზე სრულად არის უზრუნველყოფილი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის.

   ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები 25 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მათ შორის 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, ხოლო 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს დარგობრივ მოდულებს. დაწესებულებას მოდულების მიხედვით ჰყავს 2 განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომლებსაც შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში პროგრამის განხორციელების პროცესში ერთმანეთის. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

   ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

3. ვიზიტის ფარგლებში განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებით და მათი პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კვალიფიკაცია, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულებისათვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ კოლეჯის „სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით“ განსზაღვრული მოთხოვნების შესაბამისად შერჩეულია პროფესიული განათლების მასწავლებლები, თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, შესაბამისად პირად საქმეში განთავსებულია დიპლომები ან/და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები - ცნობები. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მათთან გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც განახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი. დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა არ სცდება კვირეულ 40 საათს. ექსპერტთა შეფასებით პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის N 17631 (ბოლო ცვლილება 05/03/2026, N 00004355) ბრძანებით განსაზღვრულია პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული მოთხოვნები, რომლის მიხედვით, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი მიმართულების უმაღლესი ან პროფესიული განათლება ან/და შესაბამის დარგში მუშაობის ან/და შესაბამისი მიმართულებით სწავლების არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილების მქონე პირი. პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის/მოდულების შემუშავება/ადაპტირების და სრულყოფის პროცესს, კოორდინაციას უწევს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანისა და განვითარების პროცესს, უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების კონსულტირებას სწავლების და შეფასების, კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში; ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას და ვერიფიკაციას (ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით) და უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას. ექსპერტთა მიერ, პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავება-განხორციელებაში, ასევე არის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები დაწესებულებაში ხელმისაწვდომია სრულად ელექტრონული სახით. საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების საკითხები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის No2012-13 (ბოლო ცვლილება 20/09/2025, No 17643) ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი“-ს შესაბამისად. დოკუმენტის თანახმად, კოლეჯში პროფესიული სტუდენტების და პერსონალისთვის საგანმანათლებლო რესურსით მომსახურება ხორციელდება საბიბლიოთეკო სერვისების საშუალებით, რომლიც მოიცავს რესურსცენტრს, LMS სისტემასა და ელექტრონულ ბიბლიოთეკას. ელექტრონული ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია სქილვილის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად, ელექტრონული პლატფორმის გამოყენების საშუალებით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების რესურსცენტრის (ბიბლიოთეკის) დათვალიერება, შერჩევითი პრინციპით მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსის შემოწმება, მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

6. დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი ადაპტირებული გარემოს შექმნას, რათა მათ სხვა პროფესიულ სტუდენტებთან თანაბარ პირობებში შეძლონ სრულფასოვანი განათლების მიღება, რაც ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების ინტეგრაციას საზოგადოებაში. სსსმ/შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომია, როგორც პროგრამით გათვალისწინებულ, ისე ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსები. დაწესებულებაში არსებული სწავლების მეთოდები, მასალები და ტექნოლოგიები სრულად ადაპტირებულია პროფესიულ სტუდენტთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად. დაწესებულების „სასწავლო პროცესის მართვის” დოკუმენტი არეგულირებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურებს, სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში ჩართვისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სსსმ პირების სასწავლო პროცესში ჩართვის უზრუნველყოფის მექანიზმებს. შშმ და სსსმ პირების სწავლებასა და სწავლის პროცესში ჩართულობას კოლეჯი უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, რაც გულისხმობს: შშმ და სსსმ პირთათვის კოლეჯის შენობაში შესვლას პანდუსის საშულებით, ხოლო შენობაში გადაადგილებას ლიფტის გამოყენებით; ადაპტირებული სანიტარული კვანძების არსებობას; კოლეჯის თანამშრომლების ინფორმირებას სსსმ და შშმ პირთა კონსულტაციისა და დახმარებისათვის, ასევე შეუფერხებელი გადაადგილებისათვის კოლეჯის ტერიტორიაზე; მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს შშმ და სსსმ პირის კომუნიკაციას– კონსულტაციას კოლეჯის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან; მატერიალური რესურსებით (მათ შორის კომპიუტერითა და ინტერნეტით) შეუზღუდავ სასრგებლობას სამუშაო დღის საათებში, კოლეჯის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ ვაუჩერული დაფინანსების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას. პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს, ყველა აუცილებელ ხარჯს, მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

შორის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, პროფესიული განათლების მასწავლებლების და ადმინისტრაციული პრსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგებს, სახელმძღვანელოებისა და სასწავლო აპლიკაციების შეძენას, პროფესიულ სტუდენტთა აქტივობებსა და პროფესიულ ღონისძიებებში მონაწილეობას. გარდა ამისა, გათვალისწინებულია ცნობადობის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ღონისძიების ჩატარების ხარჯები. საპროგნოზო ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას, რომლის რენტაბელობის ზღვარი 20 პროფესიული სტუდენტია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
4. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
5. პროფესიულ განათლების მასწავლებელთა პირადი საქმე;
6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
7. სასწავლო პროცესის მართვა;
8. ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი;
9. ელექტრონული ბიბლიოთეკა;
10. ვებ გვერდი;
11. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
12. გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების პროფესიული პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმი, რომელიც „ხარისხის მართვის პოლიტიკის“ ძირითად პროცესს წარმოადგენს და მოიცავს შესაბამისობის შეფასებას მოქმედ მარეგულირებელ აქტებთან და პროცესის ეფექტიანობის შეფასებას. პროგრამების შეფასებისათვის ხარისხის მართვის გუნდს შექმნილი აქვს კითხვარები დაინტერესებული მხარეებისათვის. გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის შესაბამისად კი, კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე, რიგი საკითხების გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისი კომპეტენციის მქონე პერსონალი შეიმუშავებს და განახორციელებს აქტივობებს.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. კოლეჯის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის” შესაბამისად, პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება შემდეგ შემთხვევებში: კოლეჯის ინიციატივით; პროგრამის შემუშავების საფუძვლად არსებული პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში ან პროგრამის შემუშავების მარეგულირებელ სხვა საკანონმდებლო აქტებში ან და სხვა ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში (მათ შორის, სამუშაოზე დაფუძნებული მიდგომით სწავლება და სხვა) მათთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით. კოლეჯის ინიციატივით, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება ემსახურება პროგრამის განვითარებას. ამ მიზნით, კოლეჯის წარმომადგენელთა ინიციატივა ეყრდნობა შემდეგ გარემოებებს: ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გამოყენების შედეგები, ხარისხის მართვის გუნდის დასკვნები და რეკომენდაციები; ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების შედეგები, გარე შემფასებლების/ექსპერტების დასკვნები და რეკომენდაციები; პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები; პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების/დამსაქმებლების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგები (არსებობის შემთხვევაში); პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ცვლილება ან ახალი ტექნოლოგიების/მიდგომების დანერგვა; სხვა ნებისმიერი გარემოება, რაც მიზნად ისახავს პროგრამის განვითარებას. კოლეჯის ინიციატივით დასაშვებია პროგრამაში შემდეგი სახის ცვლილებების განხორციელება: პროგრამის სახელწოდების ცვლილება; პროგრამის სტრუქტურის შეცვლა, რაც გამოწვეულია არჩევითი მოდულების დამატებით ან ამოღებით; მისაღწევი სწავლის შედეგების შეცვლა, რაც გამოწვეულია არჩევითი მოდულების დამატებით ან ამოღებით; მოდულების მესამე ნაწილში (დამხმარე ჩანაწერები) ნებისმიერი ხასიათის ცვლილება, მათ შორის: თემატიკის გამრავალფეროვნება, სასწავლო მეთოდების შეცვლა, მოდულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

განხორციელების მიდგომების შეცვლა, საათების გადანაწილება, სასწავლო რესურსის შეცვლა და სხვა; პროგრამის განხორციელების ადგილის ცვლილება; სასწავლო გეგმის ცვლილება; ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, რომელიც მიზნად ისახავს დოკუმენტის ტექნიკურ ან რედაქციულ გამართვას ან ჩანაწერების შესაბამისობაში მოყვანას მოქმედ კანონმდებლობასთან; პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილება და სხვ. ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც აუცილებლად უნდა აისახოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში, დასაბუთება და შესაბამისი მტკიცებულება სასწავლო პროცესის მართვის გუნდის ინიციატივით დირექტორის მიერ ეგზავნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ასევე, შპს „სქილვილ"-ის „ხარისხის მართვის პოლიტიკა" მიხედვით, ხარისხის მართვა კომპლექსური პროცესია და მისი მიზანია კოლეჯის, როგორც ერთიანი ორგანიზმის ჰარმონიული და მდგრადი განვითარება. ხარისხის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და კოლეჯში მიმდინარე პროცესები ორ ძირითად ნაწილად იყოფა: ძირითადი და დამხმარე პროცესები. ერთ-ერთი ძირითადი პროცესია, სასწავლო პროცესის მართვა და მისი შემადგენელი ქვეპროცესებია: პროგრამის შეფასების შედეგების გათვალისწინებით ცვლილებების ინიცირება პროგრამაში; პროგრამის შეფასების შედეგების გათვალისწინებით ცვლილებების ინიცირება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში; პროგრამის შეფასების შედეგების გათვალისწინებით პროგრამის გაუქმება.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ხარისხის მართვის პოლიტიკა;
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი;
4. ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ სასწავლო გეგმა შედგენილია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით. სწავლება განხორციელდება შესაბამისი სასწავლო გეგმით, რომელშიც გაწერილია მოდულების თანმიმდევრობა კვირების მიხედვით და ყოველ კვირაში შესასრულებელი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე განმეორებითი და შუალედური შეფასებისთვის გონივრული დროის შუალედი. მეცადინეობის განრიგები შემუშავდება სასწავლო გეგმების შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იქნება და განთავსდება თვალსაჩინო ადგილას.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო პროცესს, რაც გულისხმობს მათ ინტერესებზე ორიენტირებულ მიდგომას და სწრაფი ადაპტაციის შესაძლებლობას მიმდინარე მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულების წარმოამადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სქილვილში მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს უკუკავშირის მუდმივ შეგროვებას და ანალიზს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. ასევე, გამოყოფილია კარიერული ზრუნვის მენეჯერი, რომელიც აქტიურად მუშაობს პროფესიულ სტუდენტების პროფესიული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობაზე. სწავლებასა და სწავლის პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი და მოქნილი მეთოდები, რომლებიც ემყარება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სწავლების ეფექტურობის გაზრდას. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტისთვის შეიქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც მის ინტერესებსა და აკადემიური მომზადების დონეს შეესაბამება. პროფესიულ სტუდენტთა უფლებები დაცულია დაწესებულების შესაბამისი შინაგანაწესისა და სხვა დებულებების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათთვის თანასწორ, უსაფრთხო და ხარისხიან საგანმანათლებლო გარემოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ობიექტურ შეფასებას. ექსპერტებთან გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება იმოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად გაითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინტერესებს.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. დაწესებულებაში სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლების თანამედროვე მიდგომებსა და ინოვაციურ მეთოდებს დარგის მიმართულებით, რომელიც მაქსიმალურადაა მორგებული თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. კოლეჯში არსებობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხროციელებისათვის საჭირო შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი გარემო, შესაბამისი დარგის ლიტერატურა და კომპიუტერული ტექნიკა, რომელთა გამოყენებაც ინდივიდუალურად შეუძლიათ პროფესიულ სტუდენტებს მათი საჭიროებებიდან გამომდინარე. სასწავლო სივრცეები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, რაც დადასტურებულია მატერიალური რესურსების ბაზით, რომელიც ფუნქციონალური შესაძლებლობებით აღემატება დაწესებულ მინიმალურ სტანდარტს. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ წვდომა ინტერაქტიულ სასწავლო პლატფორმებზე და ინდუსტრიის წამყვან ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებზე, რაც მათ უმარტივებს უნარების დაუფლებას და რეალურ სამუშაო გარემოსთან ადაპტირებას. ინტერვიუირებისას აღინიშნა, რომ მეცადინეობები ჩატარდება დისტანციურად, Zoom-ის და სხვა თანამედროვე პლატფორმების გამოყენებით, ხოლო სასწავლო მასალები და დავალებები ხელმისაწვდომია Learning Management System (LMS) პლატფორმაზე, რაც უზრუნველყოფს ეფექტურ კომუნიკაციას და სწავლების უწყვეტობას. ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესის წარმართვა დაგეგმილია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. შპს „სქილვილი“ სრულად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ინკლუზიურ და ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს. დაწესებულების „სასწავლო პროცესის მართვის“ წესი ითვალისწინებს, ინდივიუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება შესაძლოა განისაზღვროს მაშინ, როდესაც: გარე მობილობით (სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსული პროფესიული სტუდენტი) ან შიდა მობილობით (კოლეჯის მიერ განხორციელებული ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასული პროფესიულ სტუდენტი) სარგებლობის შედეგად პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხება კოლეჯში და მიენიჭება პროფესიულ სტუდენტის სტატუსი, თუმცა, მისი სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები კოლეჯის (მიმღები პროგრამის) სწავლის შედეგებისგან; საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას; კოლეჯის პროფესიული სტუდენტი, რომელსაც მიენიჭა სსსმ ან შშმ პირის სტატუსი და ვერ აღწევს სწავლის შედეგებს. სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით, საჭიროებს მასზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას; პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში ან პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად; ფორმალური ან არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული განათლების აღიარების შემთხვევაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებს/ უფლებებს და სთავაზობს მათ შესაბამის სერვისებს. დოკუმენტის შესწავლით და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე, ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ გარემოში, დისტანციურად და შესაბამისად არ ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტთან თანამშრომლობას.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს განსაკუთრებული სპეციფიური უსაფრთხოების წესების დაცვას.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასაწავლო პროცესის მართვის წესი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
3. პროგრამის სასწავლო გეგმა;
4. გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის დოკუმენტი მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესს, რომლის მიხედვითაც პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. დოკუმენტში ასევე, გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების ძირითადი მოთხოვნები. ინტერვიურების დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისას ითვალისწინებს კონკრეტული მოდულის მოთხოვნებს და შეფასების განხორციელებამდე 10 დღით ადრე შეფასების ინსტრუმენტს ვალიდაციისთვის წარუდგენს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, იგი შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ერთად განიხილავს მის ვალიდურობას, როგროც შინაარსობრივი ასევე, ტექნიკური თვალსაზრისით. სასწავლო პროცესის მენეჯერი წარმოადგენს შიდა შემმოწმებელს (ვალიდატორს) და სწავლის შედეგების დადასტურებამდე მოდულის განმახორციელებელ შესაბამის პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტს, თუ რამდენად თავსებადია მოდულით განსაზღვრულ შემდეგ მიმართულებასთან:
   - ✓ არის თუ არა პროფესიული სტუდენტისათვის გასაგებად აღწერილი დავალება;
   - ✓ არის თუ არა შეფასებისათვის განსაზღვრული დრო საკმარისი;
   - ✓ არის თუ არა შეფასების ინსტრუმენტი ვალიდური, სანდო, მარტივი, მოქნილი და მიუკერძოებელი.

   შეფასების წესი, ასევე არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა განმეორებითი შეფასების და სწავლის შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს. დიკუმენტის თანახმად: განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ და მოდულის დასრულებიდან მაქსიმუმ 10 სამუშაო დღის ვადაში (არ იგულისხმება წინმსწრები მოდულის დასრულება) მოდულის განმახორციელებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს. შეფასების შედეგები პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის მიერ, შეფასებიდან არაუგვიანეს მესამე სამუშაო დღეს იმგვარად, რომ დაცული იქნას კონფიდენციალურობა და პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემები. სწავლის შედეგების გასაჩივრების მექანიზმის თანახმად, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მისთვის არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების უფლებით. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასებასთან დაკავშირებული საკითხებიდან გაასაჩივროს ორი კომპონენტი: შეფასების ობიექტურობა და მიღებული შედეგი; შეფასების პროცედურა. შეფასების გასაჩივრება შესაძლებელია წერილობითი ფორმით, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ პროფესიული სტუდენტისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

შეფასების გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში. საჩივრის განხილვის შედეგი კი, პროფესიული სტუდენტისთვის ცნობილი გახდება საჩივრის წარდგენიდან 5 დღის ვადაში.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ დოკუმენტი არეგულირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაციის მიზანია, კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფა და მისი შესაბამისობა შეფასების ძირითად პრინციპებთან. ვერიფიკაციის მექანიზმი უზრუნველყოფს რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის: ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც იქმნება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით. ჯგუფში შეიძლება შედიოდეს: ხარისხის მართვის გუნდის წევრი, რომელიც ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი (ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის დაცვით); პროფესიული განათლების მასწავლებელი (ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის დაცვით), სხვა მოწვეული პირი (დარგის სპეციალისტი, განათლების სპეციალისტი და სხვა). ვერიფიკაციის ჯგუფმა განსაზღვრულ ვადაში უნდა შეისწავლოს წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები/მტკიცებულებები/შეფასების პროცესის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები; საჭიროების შემთხვევაში შეხვდეს შეფასების ინსტრუმენტების შემმუშავებელს, სასწავლო პროცესის მენეჯერს და სხვა ჩართულ მხარეებს; განიხილონ გადასაწყვეტი საკითხები; შეთანხმდნენ შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების საბოლოო კომენტარებზე; ვერიფიკაციის ჯგუფის ყველა წევს აქვს პროცესში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნაში, დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ანგარიში აუცილებლად უნდა მოიცავდეს როგორს პროცესის აღწერას, შედეგებს და შეფასებებს, ასევე პროცესის გაუმჯობესების რეკომენდაციებს, სამოქმედო გეგმის პროექტს (საჭიროების შემთხვევაში). ანგარიშს ხელს აწერს პროცესზე პასუხისმგებელი და ვერიფიკაციის ჯგუფის წევრები.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. დაწესებულების „საასწავლო პროცესის მართვის” წესის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება მატერიალური/ელექტრონული სახით - მტკიცებულებებით. პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის ხელმძღვანელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაციას/ მტკიცებულებებს მიღება-ჩაბარების აქტით გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს სათანადო აღრიცხვის მიზნით. პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები ფორმდება უწყისით. კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. დაწესებულების „საასწავლო პროცესის მართვის” წესის მიხედვით, კოლეჯი განახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას, კერძოდ წავლის შედეგის დადასტურების ან ვერ დადასტურების მაჩვენებლების აღრიცხვას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ინტერვიურების დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში პროფესიული განათლების მასწავლებელი ინდივიდუალურად აცნობებს შესაფასებელ პროფესიულ სტუდენტს მიღებული შეფასების შესახებ სპეციალური საკომუნიკაციო არხების საშუალებით; იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოდული არის სხვა მოდულის წინაპირობა, შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ორ დღეში; თუ მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, შეფასების შედეგი პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ხუთდღიან ვადაში. ამ პროცესის მიზანია შეფასების გამჭვირვალობა, დროული უკუკავშირის უზრუნველყოფა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტი განვითარება. ექსპერტთა შეფასებით პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასაწავლო პროცესის მართვის წესი;
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. საქმისწარმოების წესი;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
5. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

27.03.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: